პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამს.—65 კ. დანარჩ. ქალაქში-85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ.
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ. სამგლოვიარო განც.—5 მ. განმეორებ. განცხ. შეღავათი 15 პროც. განცხ. მიიღება შუად. 3 ს.
ექსპედიციის ტელეფონი 5—43.

დღიური

— დანციგის (გერმანია) გამოფენა 2 ოქტომბრისთვის გადაიდო.

— ვილნოში პოლონელებმა დახვრიტეს ლიტვის შეამბოხეთა მეთაური კოვალევსკი.

— ფაშისტებმა ტურინში (იტალიაში) ააფეთქეს სენატორ ფროსატის სახლი.

— ალბანეთში მოელიან სამხედრო დიქტატურის დამყარებას.

— 4 ივლისს სტოკჰოლმში გაიხსნება მსოფლიო საფოსტო კონგრესი.

№ 143 (998) ოთხშაბათი, 25 ივნისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. (500 მილ.) № 143 (998)

საქართვ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ

ერთიან პარტიულ დღეს

გაირჩეს უჯრედებში რ. კ. პ. **მეცამეტე ყრილობის რეზოლიუცია სამეურნეო საკითხების შესახებ.**

თბილისის კომიტეტის მდივანი: **რუბენი.**

კოოპერაციის საერთაშორისო დღისათვის

დღეს ჩვენ უდიდეს ყურადღებას ვაქცევთ კოოპერაციის გაძლიერების საკითხს.

უმთავრესად მისი საშუალებით უნდა მოვახერხოთ ბაზრის დაპყრობა, იქიდან კერძო ვაჭრის, ჩარჩის გაძევება.

კოოპერაციამ უნდა შეუწყოს ხელი ქალაქის და სოფლის, მუშის და გლეხის კავშირის განმტკიცებას, საბჭოთა მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის შორის ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას.

კოოპერაციამ უნდა შეაკავშიროს გლეხობა, გაუღვიძოს მას ინიციატივა, თვითმოქმედება, შეაგნებინოს კოლექტიური, სოციალისტური მშენებლობის აუცილებლობა, სარგებლობა.

პარტიის 13 ყრილობამ ჩვენ ამ ამ მხრივ მოგვცა კატეგორიული დირექტივები.

მაგრამ სინამდვილე გვეუბნება, რომ ჩვენი კოოპერაცია ჯერ კიდევ შორსაა ამ ამოცანების ცოტად თუ ზევრად დამაკმაყოფილებლად შესრულებისაგან.

ძალიან იშვიათია ისეთი ფაქტები, რომლების შესახებ, მაგ., ამას წინედ გვწერდნენ გორიდან ჩვენი კორესპონდენტები: **„15 ივნისს ქ. გორის ოთხივე კოოპერატივი სავსე იყო ფართალით. ამ კოოპერატივებში სოფლიდან ჩამოსული გლეხობა, ქალი თუ კაცი, ყიდულობდა ფართალს ბევრად იაფად იმაზე, ვინემ ღირდა კერძო ვაჭართან. ამ კვირა დღეს ერთ გლეხს ვერ დაინახავდით კერძო ვაჭრის ფართლის მაღაზიაში, უკანასკნელში დაინახავდით მარტო ვაჭარს, რომელიც დაღონებული მიყუდებოდა კარებს“...** („კომუნისტი“ № 141).

იმავე დღეს გორის მაზრის ერთი სოფლის „დღეობაში“ ბაზრობა იყო. **„კოოპერატივმა გაილაშქრა ბაზრობის დროს ვაჭრების წინააღმდეგ. აუარებელი პირველ მოთხოვნილების საქონელი გაიტანა ბაზარზედ, კოოპერატივი ჰყიდდა არშინ ნარმას 29 კაპეიკად. კერძო ვაჭრები კი—50 კ. რა თქმა უნდა, აქ ჩარჩები ვერ ივაჭრებდნენ და აიკრიფეს გუდანაბადი, დაბარგეს თავიანთი საქონელი ურმებზე და უკან გამოემგზავრნენ. კოოპერატივმა ერთ დღეში 800 ფუთი მარილი გაყიდა, კერძო ვაჭარს ერთი გირვანქაც ვერ გაუყიდნია და დღეობაზე გატანილი მარილი უკან მოაქვს“** (№ 142).

აი, საუცხოვო ნიმუში კოოპერაციის მიერ კერძო ვაჭრის დამარცხების.

მაგრამ, ვიმეორებთ, ასეთი მოვლენა ხშირი არ არის. ზოგან ჩარჩი ისევ მონოპოლისტია სოფლად, კოოპერაცია მას ვერ უწევს საჭირო კონკურენციას.

ბევრ ალაგას კოოპერატივი სრულებით არ არის დაარსებული. სადაც არის, ვერ იჩენს საკმაო უნარს. მის გარშემო არ არის თავმოყრილი მთელი მშრომელი მოსახლეობა. საპაიო გადასახადი არ შემოდის წესიერად.

რესპუბლიკა უნდა დავქსელოთ კოოპერატივებით. უნდა გავამრავლოთ მათი წევრთა რიცხვი, მათ გარეშე არ უნდა დარჩეს არც ერთი მშრომელი. ნივთიერად გავაძლიეროთ კოოპერაცია საწევრო გადასახადის შეტანით. გავაჯანსაღოთ კოოპერატივის ვაჭრობა საქონლის შერჩევით, ზედნართი ხარჯების შემცირებით, მისი თანამშრომელთა პირადი შემადგენლობის გადასინჯვით.

ამ გზით ჩვენ თანდათან მივიღებთ მთელს რესპუბლიკის მასშტაბით ისეთ სურათს, რომლის ნიმუშები ზევით მივიყვანეთ.

კოოპერაციის საერთაშორისო დღეს, 5 ივლისს, ჩვენ უნდა გავწიოთ ფართე კამპანია კოოპერაციის მნიშვნელობის განსამარტავად ფართე მასსაში, უკანასკნელის ჩასაბმელად მასში. კამპანია უნდა იყოს არა მარტო სიტყვიერი, არამედ უფრო თვალსაჩინო, საქმით, ორგანიზაციული მუშაობით, რომელსაც უნდა ჰქონდეს სისტემატიური და გეგმაშეწონილი ხასიათი.

ამავე დღესვე ჩვენ უნდა გავიხსენოთ საერთაშორისო კოოპერაციის მდგომარეობა, ბურჟუაზიულ ქვეყნების კოოპერაციის ამოცანები.

აქ მრავალ უარყოფით მოვლენებთან გვაქვს საქმე.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ჯერ კიდევ არის ხალხი, რომელიც ვერ განთავისუფლებულა კოოპერატივიზმის ილიუზიებიდან, თითქო შესაძლებელი იყოს მშვიდობიანი კოოპერატიული მშენებლობის გზით კერძო საკუთრებაზე აგებული მეურნეობის გარდაქმნა და სოციალიზმის დამყარება.

ეს დამღუპველი ილიუზია უნდა იქნას გაქარწყლებული მშრომელ მასსაში.

კოოპერაცია უნდა იქნას გამოყენებული ბრძოლის ერთ-ერთ იარაღად იქ არსებული ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ. კაპიტალისტურ სამყაროს მშრომელ ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ კოოპერაცია მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილად სოციალისტურ მშენებლობის ფაქტორად, როცა მუშათა კლასი ხელში აიღებს ძალა-უფლებას და კოოპერაციასაც თავის მიზნებს დაუქვემდებარებს.

ამავე დროს კოოპერაცია იქ შეიძლება შეიქნეს საუკეთესო საშუალებად მუშის და ღარიბი გლეხის დაკავშირების, მათ მიერ საერთო ინტერესების შეცნობის და ამ ორ მონათესავე სოციალური ძალის ერთად დარაზმვის.

ეს ერთი ძირითადი საკითხთაგანია დასავლეთში, ერთი მთავარი პირობათაგანია ევროპის მუშათა კლასის გამარჯვების.

მაგრამ ამ მიზნების განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, რაც საერთაშორისო კოოპერაციიდან განდევნილი იქნებიან რეფორმისტული და ბურჟუაზიული ელემენტები. კოოპერაციაში თავიანთ გავლენის გაძლიერება, მისი დაპყრობა ერთი ძირითადი ამოცანათაგანია ევროპის კომუნისტების.

უნდა ითქვას, რომ არა ყველგან ექცეოდა კოოპერაციას სათანადო ყურადღება ჩვენი დასავლეთის ამხანაგების მიერ. ეს აღნიშნული იყო ამას წინედ მოსკოვში შემდგარ საერთაშორისო კოოპერატორ-კომუნისტების კონფერენციაზედაც. ამ კონფერენციამ გამოიმუშავა გეგმა კოოპერაციაში მუშაობის გაძლიერების შესახებ.

კოოპერაციის დღეს ჩვენ გავითვალისწინებთ როგორც საბჭოთა, ისე საერთაშორისო კოოპერაციის მდგომარეობას, უკეთ შევიგნებთ ჩვენი კოოპერაციის გაჯანსაღების, მისი მუშაობის გაფართოვების საჭიროებას, ამასთან უფრო დაუკავშირდებათ რევოლიუციონურ მიმდინარეობის ბურჟუაზიულ მსოფლიოს კოოპერაციაში.

ჩვენი მიწათმოწყობის ტკივილები

მიწათ-მოწყობის მუშაობა ჩვენში დაიწყო 1922 წლის 26 მაისის „დებულების“ დამტკიცების შემდეგ, ივნისის პირველ რიცხვებში. ამ წლის ხუთი თვის განმავლობაში, ე. ი. დაზამთრებამდე, მუშაობა დასრულდა 283 სოფელში სივრცით 239.769 დესეტინაზე, ხოლო 1923 წლის ხუთი თვის განმავლობაში—493 სოფელში სივრცით 169.626 დესეტინაზე; ასე რომ 1924 წლის 1 იანვრისათვის დარჩა შესასრულებელი სამუშაო მთელს რესპუბლიკაში 2351 სოფელში სივრცით 872.605 დესეტინაზე.

პირველი შეხედვით ამ ციფრებიდან ძალიან ოპტიმისტური დასკვნის გამოტანა შეიძლება: თუ ათი თვის განმავლობაში მოეწყო რესპუბლიკის ყველა სოფლების ერთი მეოთხედი და სასოფლო ტერიტორიის ერთი მესამედი, მაშასადამე, ორ წელიწადს რომ კიდევ გაგრძელდეს მუშაობა, საქართველო მიწათმოწყობის მხრით უზრუნველყოფილი იქნება, რაც საოცნებო საგნათ გამხდარა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკებისათვის. სამწუხაროთ საქმის ნამდვილი ვითარება სულ სხვაა. მუშაობა გათავებულია მხოლოდ ისეთ სოფლებში, სადაც მიწების კომლეურად გამიჯვნა უკვე შესრულებული იყო 1917 წლამდე და, მაშასადამე, მთელი ის მასალა —გამიჯნის გეგმების სახით,—ურომლოთაც წესიერი მიწათმოწყობა შეუძლებელია, მიწის მომწყობთ ხელში ჰქონდათ. ასევე არ ითქმის დანარჩენ სოფლების დიდ უმრავლესობაზე. დასავლეთ საქართველოზე რომ არ ვილაპარაკოთ, სადაც ყველა სოფლების ნახევარზე მეტი და ტერიტორიის ერთი მესამედი გაუმიჯნავია, თვით აღმოსავლეთ საქართველოს სოფლების გეგმები დღეს სრულიად სინამდვილეს აღარ შეეფერებიან, იმდენათ მძლავრი იყო აგრარულ რევოლიუციით გამოწვეული მიწების გადაჯგუფება. ამიტომ მიწათმოწყობის გათავების შესახებ რაიმე სწორი წინასწარმეტყველება შეუძლებელია.

დაუმიჯნავ სოფლებში მუშაობა ძალიან აგვიანებს მიწათმოწყობას. მის მაგივრათ, რომ მზა გეგმით ხელში მიწის მზომელმა მოახდინოს ზედმეტი მიწის ჩამორთმევა, ნაკვეთების განაწილება, და გადაჯგუფება ან სხვა ამგვარი მუშაობა, ის იძულებულია ჯერ აწარმოოს ნაკვეთების გამიჯვნა და მათი აგეგმვა, რაც დიდ დროს მოითხოვს: საჭიროა ტრიგონომეტრიული ქსელიდან გეომეტრიული ქსელის გაშლა და ამ უკანასკნელიდან ნაკვეთების გეგმის გადაღება, შემდეგ თვითეული ნაკვეთის სივრცის და საზღვრის ნიშნების გეოგრაფიური მდებარეობის გამონგარიშება; საჭიროა თვითეული კომლის მიწა-ადგილის რაოდენობისა და ღირსების გამორკვევა: ვის რამდენი მიწა უნდა ჩამოერთვას, რომელ ნაკვეთებში, ვის რამდენი უნდა მიეცეს, სად და რამდენ ნაკვეთად. გამიჯნვის დროს ხშირია საზღვრებზე დავა, საჭიროა ასეთი დავების მორიგებით გათავება და ბევრი სხვა წინასწარი მუშაობა, რომ შესაძლებელი შეიქნეს მიწათმოწყობის მთლიანი პროექტის შედგენა. შედგენილი პროექტი უნდა აუხსნა მონაწილეებს როგორც გეგმაზე, ისე ადგილობრივ; ზოგს არ მოეწონება ესა თუ ის ნაკვეთი, მოითხოვს მის შეცვლას, რის გამოც პროექტი უნდა შესწორდეს ან სულ გადაკეთდეს და სხვადასხვა. შეუძლებელია აქ ყველა იმ მუშაობის დეტალურად აღწერა, რაც აუცილებელია მიწათმოწყობისათვის, მაგრამ ნათქვამიც საკმაოა, რომ მთელი მუშაობის სირთულე დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ.

ასეთია მიწათმოწყობის საქმე და თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენში მიწების საარაკო დაქუცმაცებას, აშკარა გახდება თუ რატომ არ თავდება მიწათმოწყობა მოკლე დროში.

მიწათმოწყობის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მიწისმზომლის ცოცხალ სიტყვას და ახსნა-განმარტებას, მიწის მუშისადმი მიმართულს და ამ უკანასკნელის გულის ნადების გაგებას. ათასნაირი წვრილმანი, მაგრამ მნიშვნელოვანი გარემოებაა სახეში მისაღები. მიწის მუშას უნდა მოუსმინო ყველაფერი რაც მას აწუხებს როგორ უჯობს, სად და როგორი მიწა მიეცეს, უნდა აუხსნა მისი კერძო ინტერესის შეფარდება მეზობელ მოსარგებლის ან საზოგადო ინტერესთან. ყველაფერი ზოგან არ ხერხდება, როცა მიწისმზომელმა არ იცის იმ სოფლის მკვიდრთა ენა, სადაც უხდება მუშაობა. ამ მხრით დღეს-დღეობით მდგომარეობა ასეთია: მიწადმოქმედების კომისარიატის განკარგულებაში მყოფი ყველა მიწისმზომლების რაოდენობიდან 75 პროც. ქართველია, 7 ნახ. პროც. სომეხი (ყველა ქართული წერა-კითხვის მცოდნე) და 17 ნახ. პროც. რუსი. როგორც ვხედავთ მდგომარეობა არაა უნუგეშო, მხოლოდ შეუძლებელი ხდება სამაჰმადიანო ნაწილების მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომ მათ გაგზავნოს ისეთი ვინმე, რომელსაც მათი ენა ესმოდეს.

შემდეგი საზრუნავი საგანი არის მიწათმოწყობის ტეხნიკოსების მომზადება. ჩვენში სამიწისმზომლო სასწავლებელი აღარ არსებობს. მაშასადამე, იძულებული შევიქნებით მომავალში სამსახურში მივიღოთ ქართულის არ მცოდნე და ნაკლები ცოდნის ტეხნიკოსები. ეს რამოდენიმეთ შეაფერხებს მიწათმოწყობის საქმეს. მიწათმოწყობა კიდეც რომ დავამთავროთ 8—10 წლის განმავლობაში, სამიწისმზომლო ტეხნიკა მაინც აუცილებლად საჭირო იქნება, რადგანაც მასთან დაკავშირებულია ყოველგვარი სამელიორაციო მუშაობა, ტყეებისა და საძოვრების საქმე და სხ. **ამიტომ აუცილებლად საჭიროა პოლიტეხნიკუმის შესაფერ ფაკულტეტის შევსება ამ დარგის დისციპლინით.**

მაგრამ ყველა ამას ექნება პრაქტიკული მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ, როცა შეიცვლება ის არანორმალური მდგომარეობა მიწისმზომლების შრომის ანაზღაურებისა, რომელსაც დღეს აქვს ადგილი. ბევრმა შეიძლება არც-კი იცოდეს, რომ იმ წელში გამწყვეტ შრომაში, რომელსაც ეწევა მიწისმზომელი მიწათმოწყობის საქმეში, ის იღებს ჯამაგირს 18 (თვრამეტ) მანეთს თვეში. რა თქმა უნდა ასეთი მდგომარეობა დიდ ხანს ვერ გასტანს: მუყაითი და მცოდნე მიწისმზომელი, ველარ გაუძლებს ასეთ პირობებს და მიაშურებს იმ ადგილებს ჩვენს კავშირში (რუსეთში, აზერბაიჯანში ან სომხეთში), სადაც 120—160 მანეთამდე აძლევენ თვეში. საკვირველი ამბავია, მაგრამ ესეც ფაქტია, რომ ერთსა და იმავე ფედერაციაში ერთი და იგივე დარგის სპეციალისტები იღებენ ერთ ალაგს 18 მანეთს და მეორე ალაგას ათჯერ მეტს.

ჩვენი მიწის კოდექსი მიწათმოწყობის მთელ წარმოებას და პასუხისმგებლობას მიწის მზომელს აკისრებს. სრულიად ბუნებრივი კითხვა იბადება: როგორი იქნება შედეგი ასეთი პასუხისმგებელი პირის 18 მანეთიანი ჯამაგირით დაკმაყოფილებისა და ბოლოს ვინ იქნება მორალურად პასუხისმგებელი, რომ ვინმე კრიმინალური რამე ჩაიდინოს და ფეხი წაიტეხოს? მიზეზი ასეთი მცირე ჯამაგირებისა არის უსახსრობა. არც პროფკავშირის მმართველობის, არც ადმინისტრაციის ცდამ და მეცადინეობამ, რომ როგორმე გაუმჯობესებულიყო ეს საშინელი მდგომარეობა, დადებით შედეგს არ მიაღწია.

მიწისმზომლები იმ იმედით, რომ დღეს თუ ხვალ მდგომარეობა გაუმჯობესდება, მაინც გმირულათ ითმენენ გაჭირვებას და განაგრძობენ მუშაობას, მაგრამ მათ დროზე უნდა მივეშველოთ.

ვ. გ—ძე.

კოოპერაციის მორიგი საკითხები

ჩვენი კოოპერატივების ძირითადი ამოცანა დღევანდელ პირობებში კერძო ვაჭრებთან ბრძოლა და ამ ბრძოლაში გამარჯვებაა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა საწარმოო და სამომხმარებლო კოოპერაციის აღორძინებას. თუ წინეთ, წმინდა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ წყობილებაში კოოპერაცია ეკონომიურ ცხოვრების უკანა კარებზე იდგა, სამაგიეროდ დღეს, გარდამავალ ხანაში, კოოპერატიულ მოძრაობას ენიჭება დიდი უპირატესობა კომუნისტურ პრინციპების განხორციელების საქმეში. ეჭვი არაა, კოოპერაცია დაიპყრობს კერძო ბაზარს, დაამარცხებს კერძო კაპიტალს, თუ დაცული იქნება შემდეგი პირობა, **კოოპერაციის აპარატი უნდა იქნეს მარტივი, მოქნილი, ცოცხალი.**

რაში მდგომარეობს აპარატის მოქნილობა?.

უწინარეს ყოვლისა მოთხოვნილებასა და მიწოდებას შორის წონასწორობის დამყარებაში. უფრო მდაბიურად, რომ ვსთქვათ, კოოპერაციამ უნდა შესძლოს **თავის დროზე და სისტემატიურად** მშრომელი ხალხისათვის იმ საგნების მიწოდება, რომლებიც წარმოადგენს **მასსიურ მოხმარებას**, აკმაყოფილებს მასსიურ საჭიროებას.

სამწუხაროდ, დღეს მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არაა, კოოპერაციის აპარატის მოქნილობა ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. ამას თან სდევს ყველასათვის აშკარა შედეგი: კოოპერატიულ განყოფილებებში არ მოიძებნება მასსისათვის საჭირო საგნები მაშინ, როდესაც კერძო ბაზარი უკვე სავსეა ამ საგნებით. პროვინციის კოოპერატიული დაწესებულებები **ან სულ არ ღებულობს** საჭირო საქონელს, ან თუ მიიღებს,—ძლიერ **დაგვიანებით.**

დაგვიანებით საქონლის მიღებას თან ახლავს დიდი უარყოფითი მხარე. მომხმარებლები კერძო ბაზარზე ყიდულობენ აუცილებელ საჭიროების საგნებს. კერძო ბაზარი ასწრებს მომხმარებლების უმრავლესობის დაკმაყოფილებას. კოოპერატიულ დუქნებში დაგროვილი, დაგვიანებით „მობრძანებული“ საქონელი ამის შემდეგ ვერ პოულობს ფართო ბაზარს და იყიდება ხანგრძლივი დროის განვლის შემდეგ. კოოპერაციის ფარგლებში **საქონლის ტრიალი ნელდება**, კოოპერატიული მაღაზიები ვერ ახერხებს ახალ-ახალი საქონლის მიღებასა და გასაღებას.

კერძო ვაჭრის ფსიქოლოგია საყოველთაოდ ცნობილია. სპეკულიანტი მოძრავი ელემენტია. მას დღე-ღამე არ სძინავს. სულ იმის ფიქრშია, რომელი საქონელი **სად** შეიძინოს და სად გაასაღოს მისთვის ხელსაყრელ პირობებში. ამიტომაც არის, რომ რომელიმე ახალი ნაწარმოების გამოშვება და მისით კერძო ბაზრის გავსება თითქმის ერთდროულად, ერთ და იმავე დროს ხდება. სპეკულიანტი ამოკლებს დროს სივრცის (ბაზრის) „დაპყრობისათვის“.

უნდა აღინიშნოს მიუდგომლად, **ჩვენს სამეურნეო ორგანოებში ეს სიმარდე, საჭირო სიცქვიტე არაა დაცული.** არ სჩანს ენერგია, საქმით თავდავიწყებითი გატაცება, დაუღალავი ლტოლვა კოოპერაციის მიზნების განხორციელებისაკენ. ჩვენი კოოპერატორები შეეჩვიენ „საერთო მიმდინარეობას“, „კანცელიარშჩინას“, „კაზიონშჩინას“. ამის დასამტკიცებლად აუარებელი კერძო მაგალითების მოყვანა შეიძლება. მაზრის რომელიმე კოოპერატივი იწერს ცენტრიდან საქონლის განსაზღვრულ რაოდენობას განსაზღვრულ დროზე მიღების იმედით. გადის დღე დღეზე, კვირა—კვირაზე... საკმაო ლოდინის შემდეგ, რასაკვირველია, დაგვიანებით ჩნდება ცენტრიდან გაგზავნილი **საქონელი დანიშნულების ადგილზე.**

ერრიოს და მაკდონალდის „თანამშრომლობა“

გერმანიამ უნდა მიიღოს ექსპერტთა გეგმა

საფრანგეთმა გააძლიერა რეპრესიები რურის ოლქში

მაკდონალდის და ერრიოს მოლაპარაკებას ჰქონდა მეტად საიდუმლო ხასიათი

პრემიერების „ალთქმა“

„მორალური მხარე“

ბერლინი. 24 ივნისი. საფრანგეთის ოფიციალური ცნობა ინგლის-საფრანგეთის პრემიერების შეხვედრის შესახებ იუწყება, რომ **„ჩეკერსიეში მიცემული იქნა ურთიერთისადმი მორალური ალთქმა მუდმივი თანამშრომლობის შესახებ ორ პრემიერს შორის“.**

პარიზი. 24 ივნისი. საფრანგეთისა და ინგლისის პრემიერები გამოვიდენ საერთო დეკლარაციით, რომელშიც ნათქვამია: **„იმ გაჭირვებისა და დაბრკოლებების გამო, რომელსაც განიცდიან ინგლისი, საფრანგეთი და მთელი მსოფლიო, ჩვენ ვაძლევთ ერთმანეთს მორალურ ალთქმას თანამშრომლობის შესახებ“.**

მაკდონალდი ერრიოსთან მოლაპარაკების შესახებ.

ლონდონი. 24 ივნისი. თემთა პალატაში მაკდონალდმა მოხსენება გააკეთა ერრიოსთან მოლაპარაკების შესახებ. მაკდონალდმა განაცხადა, რომ შეხვედრას მიზნათ ჰქონდა ექსპერტთა გეგმის ცხოვრებაში გატარების ტეხნიკური პირობების გამომუშავება. მოლაპარაკების დროს განხილული იქნა ზოგიერთი საკითხები, რომელთა გადაჭრა ევროპის მშვიდობიანობის უზრუნველყოფის მიზნით, ინგლის-საფრანგეთის თანამშრომლობას მოითხოვს. მოლაპარაკების შინაარსი გადაეცემა ბელგიისა და იტალიის პრემიერებს.

პირველი საკითხი, რომლის შესახებაც დაიწყება მოლაპარაკება ბელგიასთან და იტალიასთან,—ეს არის მოკავშირეთა კონფერენცია, რომელიც ალბათ 16 ივლისს შეიკრიბება ლონდონში.

„ალთქმის“ მიცემის შემდეგ

პრესა პრემიერების შეხვედრის შესახებ

პარიზი, 24 ივნისი. საფრანგეთის მემარცხენე ბურჟუაზიული პრესა ინგლის-საფრანგეთის პრემიერების დეკლარაციას სოლიდარობის შესახებ ახალი ეპოქის დასაწყისად სთვლის. გაზეთები დარწმუნებული არიან, რომ ერრიოსა და მაკდონალდის პოლიტიკა გაიმარჯვებს.

მხოლოდ „ეკო-დე-პარი“ აცხადებს: „მაკდონალდს მივყევართ ჩვენ ვერსალის ხელშეკრულების გაუქმებისაკენ“.

„ეტი ჟურნალ“ სწერს: „დამოკიდებულებას ინგლისსა და საფრანგეთს შორის ურთიერთისადმი პატივისცემის ხასიათი ეძლევა, რაც შესაძლებლად ხდის მეგობრული ხელშეკრულების დადებას ორ სახელმწიფოს შორის“.

„მატენ“ სთვლის, რომ პრემიერების შეხვედრა წარმოადგენს ერთგვარ ნაბიჯს ევროპის საკითხების გადაჭრის საქმეში.

ინგლისის გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ ერრიოსა და მაკდონალდს შორის სრული თანხმობა არის. ინგლისის გაზეთები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ პრემიერების შეხვედრის პირველი შედეგი არის მოკავშირეთა კონფერენციის მოწვევა.

გერმანია მოკავშირეთა კონფერენციაზე.

ბერლინი, 24 ივნისი. ინგლის-საფრანგეთ-ბელგია-იტალიის პრემიერებს შორის სწარმოებს მოლაპარაკება ივლისში მოკავშირეთა კონფერენციაზე გერმანიის მოწვევის შესახებ.

სამხედრო კანტროლის საკითხი.

რომი, 24 ივნ. გაზეთები იუწყებიან, რომ გერმანიის მთავრობა ამზადებს კანონპროექტებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ექსპერტთა გეგმის მიღებასთან.

მოკავშირეთა კანტროლის შესახებ გერმანიის სამხედრო ძალებზე ჯერ არავითარი გადაწყვეტილება არ არის მიღებული. გერმანიის მთავრობას განზრახვა აქვს დაუცადოს ერრიოს მოლაპარაკების შედეგებს იტალიასთან და ბელგიასთან.

გერმანიის პასუხი.

ბერლინი, 24 ივნისი. გერმანიის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განხილული იქნება პასუხი ელჩთა კონფერენციის ნოტაზე სამხედრო ძალებზე კანტროლის შესახებ. გერმანიის პასუხი უნდა წარედგინოს ელჩთა კონფერენციას არა უგვიანეს პირველი ივლისისა.

ჰერგტის განცხადება.

პარიზი, 24 ივნისი. ნაციონალისტების ლიდერმა ჰერგტმა განაცხადა, რომ ნაციონალისტები შესაძლებლათ თვლიან ხმის მიცემას იმ კანონპროექტებისათვის, რომლებიც ექსპერტთა გეგმის მიღებასთან არიან დაკავშირებული.

საიდუმლო მოლაპარაკება

ინგლისის პრესის თავდაჭერილობა

ლონდონი. 22 ივნისი. პრესა ძალიან ფრთხილად უკეთებს კომენტარიებს ერრიოს და მაკდონალდის შეხვედრას. მოლაპარაკების შინაარსი საიდუმლოთ ინახება. დიპლომატიურ კორესპონდენტების წერილებში ერთი სიტყვაც არ არის იმაზე მეტი, რაც ოფიციალურ ცნობაშია.

„მორნინგ პოსტი“ შენიშნავს, რომ მაკდონალდი და ერრიო „ენტუზიაზმით აანაზღაურებენ თავიანთ გამოუცდელობას“. ამავე დროს გაზეთი ამბობს, რომ „დაუსრულებელმა სარეპარაციო პრობლემამ ბოლო მოუღო ევროპის მრავალ რეპუტაციებს“.

„მორნინგ პოსტის“ დიპლომატიური კორესპონდენტი იუწყება, რომ პრემიერების საუბრის დროს დაყენებული იყო საბჭოთა კავშირის საკითხი. ამასთანავე ერრიომ აღუთქვა მაკდონალდს, რომ არავითარ ურთიერთობას არ დაიჭერს ის ბოლშევიკებთან, თუ წინასწარ არ აცნობა თავისი გეგმები ინგლისს და ამერიკას.

უჩვენოთ უჭირთ

საბჭოთა კავშირთან მეგობრობა გერმანიისათვის აუცილებელია

ბერლინი. 22 ივნისი. „ფოსიშე ცეიტუნგი“ (სოციალ-დემოკრატიული გაზეთი) აქვეყნებს წერილს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ საბჭოთა რესპუბლიკასთან მეგობრული ურთიერთობა ისეთივე მთავარი მომენტია გერმანიის პოლიტიკისათვის, როგორც დასავლეთის დემოკრატიასთან შეთანხმების აუცილებლობა. ძალიან ცუდია ის პოლიტიკა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ კავშირი გასწყვიტო ერთ მეგობართან მაშინვე, როდესაც შეიძენ მეორეს: წასულ დროის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ გერმანია, ასეთი პოლიტიკით, ჰკარგავს ბოლოს და ბოლოს ყველა თავის მეგობრებს. გერმანიის უდიდესი ისტორიული მისიაა, გახდეს შუამავლათ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. გერმანიას მაშინ შეუძლია შეიძინოს ახალი მეგობრები, როდესაც ის ერთგულებას დაამტკიცებს თავის ძველ მეგობრებისადმი.

საკუთარი ძალებით

ინგლისი და საბჭოთა კავშირი.

ლონდონი. 22 ივნ. პოლკოვნიკმა არტურ ლინჩმა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის კონფერენციაზე ატლინგტონში განაცხადა, რომ თუ ინგლისის მთავრობა საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ დანიშნავდა ელჩს მოსკოვში და მიიღებდა საბჭოთა ელჩს, ამით მტკიცე ნიადაგზე დააყენებდა ინგლის-საბჭოთა კავშირის დღევანდელ მოლაპარაკებას.

უკანასკნელი დაკვეთა.

ლონდონი. 24 ივნისი. შვეციაში **დაკვეთილ 500 ორთქლმავალიდან საბჭოთა კავშირმა მიიღო 375. დანარჩენების აშენება ახლო მომავალში დამთავრდება.**

ესტონეთში დასრულდა 70 ორთქლმავალის კაპიტალური შეკეთება.

ეს დაკვეთა საზღვარ-გარეთ არის უკანასკნელი: ამიერიდან ჩვენი ორთქლმავლების შეკეთება მოხდება საბჭოთა კავშირის ქარხნებში.

ფაშისტების წინააღმდეგ

დემონსტრაცია ფაშიზმის წინააღმდეგ.

პარიზი. 22 ივნისი. 22 ივნისს პარიზში გაიმართა დემონსტრაცია საერთაშორისო ფაშიზმის წინააღმდეგ. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს იტალიის მუშებმაც. დემონსტრაციის შემდეგ დაწყებულ მიტინგზე მოხდა შეტაკება მანიფესტანტებსა და პოლიციას შორის. შეტაკებას შედეგად მოჰყვა რამდენიმე პოლიციელის და მანიფესტანტის დაჭერა.

სხვადასხვა ამბები

— **დანციგის გამოფენა ჩაიშალა.** საერთაშორისო გამოფენა დანციგში ჩაიშალა, რადგან გამოფენაში ძლიერ სუსტად იღებდენ მონაწილეობას საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ფირმები. გამოფენა 2 ოქტომბრისთვის გადაიდო.

— **პოლონელების ძალადობა.** ვილნოში პოლონეთის ადმინისტრაციამ დახვრიტა ლიტველი მეამბოხე კოვალევსკი. მის დასაფლავებაზე ლიტველებმა დემონსტრაცია მოაწყვეს პოლონელ დამპყრობლების წინააღმდეგ.

— **მუსოლინის წინააღმდეგ.** მილანში გაიმართა მაქსიმალისტების, რესპუბლიკანური, რეფორმისტების და „პოლიარი“-ს პარტიების კონფერენცია. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც მოითხოვს მთავრობის გადადგომას, ფაშისტური მილიციის გაშვებას და ახალი არჩევნების დანიშვნას.

— **ფაშისტები არ ცხრებიან.** რომიდან მიღებული ცნობებით, ფაშისტებმა ტურინში ააფეთქეს სენატორ ფროსატის სახლი.

— **მართალია კი?** ინგლისის გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა, რომ ირლანდიის მთავრობას განზრახვა აქვს გაანთავისუფლოს დე-ვალერა და აჯანყების სხვა მეთაურები.

— **ალბანეთში.** ალბანეთის მთავრობა დიდ გაჭირვებას განიცდის თავისი პოლიტიკის გატარების დროს. ფიქრობენ, რომ ფანიოლის მთავრობა ჩქარა გადადგება და ალბანეთში სამხედრო დიქტატურა დამყარდება.

— **სამხრეთ-სლავიაში.** პრემიერი პაშიჩი ცდილობს დაითანხმოს მეფე პარლამენტის გაშვებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში პაშიჩი გადადგომით იმუქრება.

— **მსოფლიო საფოსტო კონგრესი.** 4 ივლისს სტოკჰოლმში (შვეცია) გაიხსნება მსოფლიო საფოსტო კონგრესი.

— **დანია სამხედრო ძალებს აძლიერებს.** დანიის პარლამენტმა მიიღო კანონი ნაპირების დაცვის გაძლიერების შესახებ.

— **გრიგალი დასავლეთ ევროპაში.** დასავლეთ ევროპაში გრიგალმა გადაიარა. ძლიერ დაზიანდენ საფრანგეთი და დასავლეთ-გერმანია.

— **შავების აღლუმი.** გერმანიის უკიდურესი ნაციონალისტები აწყობენ დღესასწაულს შტეტინში. ფაშისტების აღლუმს მიიღებს გენერალი ლიუდენდორფი.

— **რურის ოლქში.** ფრანგებმა გააძლიერეს რეპრესიები რურის ოლქში. დიუსელდორფში გაჩხრიკეს 260 ბინა და დააპატიმრეს 40 კაცი.

— **ცინიკური განცხადება.** ნორვეგიის თავდაცვის მინისტრმა პარლამენტში განაცხადა, რომ ნორვეგიაში არსებობენ თეთრგვარდიელთა ორგანიზაციები. მინისტრი არ უარყოფდა თავის კავშირს ამ ორგანიზაციებთან.

— **სულთანის ქონებას ყიდიან.** ანგორის წრეებში ძლიერდება სურვილი სულთანის ქონების გაყიდვის სასარგებლოდ.

ჩვენი პროვინციელი კოოპერატორ-მუშაკები წამ და უწუმ სჩივიან კოოპერაციის აპარატის სიტლანქეზე. კოოპერაციის მორიგი, გადაუდებელი ამოცანაა აპარატის უხეშობის მოქნილობით შეცვლა. კოოპერატიული დაწესებულებები უნდა გაიწმინდოს ბიუროკრატიულ ელემენტებისაგან. თუ კოოპერატიული მთავარი ორგანოებმა ვერ შესძლეს ამ ამოცანის თავის დროზე გადაწყვეტა, უნდა ველოდეთ კერძო ბაზრის არა დაპყრობას, არამედ მისი უფრო გაფართოება-განვითარებას საზოგადოებრივი აღებ-მიცემობის ხარჯზე.

მეორე საკითხი, რომელიც წამოჭრილია კოოპერაციის წინაშე, ფართო მასსის კოოპერაციის ფერხულში ჩაბმაა.

კოოპერატივები მშრომელი ხალხისათვის—ასეთია საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგი. როდის შეიძლება კოოპერაციის მიზნები მშრომელ წრეებისათვის პოპულიარული გახდეს? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხის გაცემა შეიძლება: **კოოპერაციის იდეები მაშინ შეიჭრება მშრომელთა წრეებში, როდესაც კოოპერატივები შესძლებს მომხმარებლებისათვის რეალი, პრაქტიკული შედეგების მოტანას.** მშრომელი მასსა იდეალისტი არაა, მას არაფერი სწამს იდეალიზმის. ასეთია გლეხობის ფსიქოლოგია: გლეხკაცი ადვილად ითვისებს იმას, რაც მისთვის აუცილებლად საჭიროა და რასაც მოაქვს თვალით დასანახი, ხელით შესახები სარგებლობა. ამ თვალსაზრისით კოოპერატიულმა ორგანოებმა მშრომელ მასსას უნდა მიაწოდოს **აუცილებელ საჭიროების საგნები**, მიაწოდოს რაც შეიძლება იაფად, ფასდაკლებით კერძო დუქნებთან შედარებით. გლეხი მაშინ დააფასებს კოოპერატივს და შეიქნება მისი ღირსეული წევრი, როდესაც კოოპერატივი სოფელს მისცემს იაფ საქონლის მიღების საშუალებას.

ვიმეორებ, ყველაზე უწინ კოოპერატივმა უნდა დააკმაყოფილოს მასსა აუცილებელ საჭიროების საგნებით. მეორეხარისხოვანი, **ფუფუნების საგნების მიწოდებას კოოპერატიულმა დაწესებულებებმა გვერდი უნდა აუხვიოს.** მასსის ინტერესებთან შეუფერებელ პოლიტიკაზე კოოპერაციამ ხელი უნდა აიღოს.

ერთი მაგალითის მოყვანა სავსებით აშკარავებს საქმის ვითარებას. მშრომელი მასსა ეტანება ნარმას. ფარჩეულობა-აბრეშუმობას გლეხობა აქცევს ყველაზე ნაკლებ ყურადღებას. მისთვის აუცილებელია ნარმით დაკმაყოფილება. განსაკუთრებით დღეს საგულისხმოა ნარმის ბაზრის ზრდა. ფინანსიურმა რეფორმამ გლეხობას გაუხსნა გზა ცოლშვილის შემოსვისაკენ. წინეთ სიძვირე სულ უხუთავდა სოფელს. ნარმაც შედარებით ნაკლებად გადიოდა. ამ ჟამად არსებითად შეცვლილია მდგომარეობა. გლეხის ქისაში გროშებმა თავი მოიყარა. გლეხი ბაზრისკენ მიეშურება. როგორ ხედება მას კოოპერატივი? ვერ ვიტყვი, რომ ყველგან და ყოველთვის „სტუმართმოყვარეობით“, ე. ი. ის ხშირათ მას ვერ აკმაყოფილებს ამ საქონლით, ნაკლებათაა გლეხკაცის „გულის მესაიდუმლე“—ნარმა. ეს გარემოება გლეხს იძულებულს ხდის პირი კერძო ბაზრისკენ იბრუნოს. თუ კოოპერატივში არ მოიპოვება ეს საქონელი—სამაგიეროთ სპეკულიანტ-ვაჭრების თაროებზე უხვად აწყვია იგი. სპეკულიანტს უსრულდება ნატვრა: გლეხი გამოდის კოოპერატიულ დუქნიდან და წვითა და ოფლით მონაპოვარ კაპეიკებს წუწბელა ვაჭარს უჩხრიალებს ჯიბეში.

რატომ ხდება ეს? აქ მარტო „აპარატი“ დამნაშავე არაა. საქმე გვაქვს **კოოპერატიული ცენტრის პოლიტიკასთან.** კოოპერატიულ განყოფილებებს ეძლევა ნარმის მინიმალად განსაზღვრული რაოდენობა, სახელდობრ —5 პროც. დაახლოებით. ეს ნიშნავს შემდეგს: თუ მაზრის კოოპერატიული ორგანო იძენს ცეკავშირიდან ას არშინ ფართლეულს, მას ეძლევა მხოლოდ ხუთი არშინი ნარმა საერთო ანგარიშში. **ეს პროპორცია მიუღებელია:** ნარმის პროცენტი მეტად უმნიშვნელოა. კოოპერატივი არსებობს ღარიბებისთვის. ღარიბები კი სწორედ ნარმას ეტანებიან. კოოპერაციის მორიგი ამოცანაა: **ფართო მასსა უნდა დაკმაყოფილდეს აუცილებელ საჭიროების საგნებით. ამ ამოცანის გონივრული გადაწყვეტა ძირითადი პირობაა მშრომელ ხალხში კოოპერაციის ავტორიტეტის ამაღლების.**

ამ რიგად, კოოპერატიულ ცხოვრებიდან **უარყოფითი მომენტების** განდევნა კოოპერაციის ძლევამოსილობის საკითხია. პარტია და ხელისუფლება კოოპერაციას აკისრებს მძიმე მოვალეობას—**კერძო კაპიტალთან ბრძოლას.** მთელმა რიგმა **პარტიულმა** ყრილობებმა მეტად სერიოზული ყურადღება მიაქცია კოოპერაციის საკითხს. დადგენილებები და **გეგმები** კეთილ განზრახვათ დარჩება, **სანამ** კოოპერაციას არ **გაუძლიერდება** ეკონომიური ხერხემალი, **მოქნილი** და ელასტიური არ შეიქნება **ამ ხერხემლის აპარატი და მიზან-შეწონილი კოოპერაციის პოლიტიკა.**

მასსა მიილტვის კოოპერაციისკენ. უნდა შევსძლოთ მისი გაერთიანება კოოპერატიულ ოჯახში..

გ. მუშიშვილი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

კომპარტიის გამოფენა ლატვიაში.

მოსკოვი, 24 ივნისი. ლატვიაში გაიხსნა კომუნისტური პარტიის გამოფენა, რომელიც მიძღვნილია ლატვიის პარტიული ორგანიზაციის 20 წლის იუბილესთვის. გამოფენის ექსპონატები საშუალებას აძლევენ გამოფენის მნახველებს გაეცნონ ლატვიის ხალხის მთელ რევოლიუციონურ მოძრაობას.

მიწა და ტყე გლეხებს.

პსკოვი, 23 ივნისი. პსკოვის გუბერნიაში გადაეცემა გლეხებს 213 დესეტინა ტყე და 50,000 დესეტინა მიწა სახელმწიფო ფონდიდან.

პირველი ელსადგური.

პსკოვი, 23 ივნისი. ქალაქ ოსტროვში, პსკოვის გუბერნიაში დაიწყო მუშაობა გუბერნიაში პირველი ჰიდრო-ელექტრო სადგურის ასაგებათ.

გოგოლის ნივთები.

პოლტავა, 23 ივნისი. გოგოლის ნათესავმა ქალმა ადგილობრივ მუზეუმს გადასცა განსვენებული პოეტის ზოგიერთი ნივთები.

ლატვიის კომპარტიის 20 წლის თავი.

მოსკოვი, 23 ივნისი. 21 ივნისს დიდის ზეიმით იქნა გადახდილი ლატვიის კომპარტიის 20 წლის თავი. სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. სტუჩკამ და გავენმა.

კომკავშირის მეექვსე ყრილობა.

მოსკოვი, 23 ივნ. რ. კ. ა. კ. ც. კ. დაადგინა კომკავშირის მეექვსე ყრილობაზე 80 ადგილი მისცეს რ. კ. ბ. ც. კ., 12—ფლოტს, 10—ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომს, 8—პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს, 5—განათლების კომისარიატს, 5—ცენტრ. სამხ. დაწესებულებებს, თითო ადგილი ჯანსახკომს და სოციალური აღზრდის მთავარ მმართველობას.

ბამბის ნათესები თურქესტანში.

მოსკოვი, 24 ივნისი. წელს თურქესტანში ბამბის ნათესების მოედანი ოთხჯერ აღემატება შარშანდელს.

სელის ნათესები

მოსკოვი, 24 ივნისი. პსკოვის გუბერნიაში სელის ნათესების მოედანი შარშანდელთან შედარებით გაიზარდა 12,000 დესიატინით.

კოოპერაცია იმარჯვებს

მოსკოვი, 24 ივნისი. დონეცის გუბერნიაში, სტალინსკის ოლქში, კერძო საბითუმო ვაჭრობა სავსებით შეწყდა. კოოპერაცია აერთიანებს ამ ოლქში 70,000 მუშას. კოოპერაცია თავის საქონელს ჰყიდის 15 პროცენტით უფრო იაფად ბაზრის ფასებთან შედარებით.

უკრაინა

პირველად.

ოდესა, 24 ივნისი. საგუბერნიო სასამართლოში პირველად ხდება საქმის მოსმენა ებრაულ ენაზე.

წითელი ინჟინერები.

ნიკოლაევი, 24 ივნისი. მოხდა პირველი გამოშვება წითელ ინჟინერების, რომლებმაც დაამთავრეს მუშათა ტეხნიკუმი. პროექტების დაცვა ჩინებულად ჩატარდა.

უკრაინის მოსავალი

მოსკოვი, 24 ივნისი. უკრაინის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. კლიმენკოს განცხადებით მოსავალი უკრაინაში, როგორც ჩანს, საშუალოზე ნაკლები არ იქნება, ვინაიდან გვალვა სდგას მხოლოდ ცალკე მცირე რაიონებში. სათესი მოედანი უკრაინაში გადიდებულია თითქმის მილიონი დესიატინით.

ნათესების მდგომარეობა

მოსკოვი· 24 ივნისი. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში, ცუდი ამინდების გამო ნათესების მდგომარეობა გაუარესდა ვოლგის მხარის შუა და სამხრეთ გუბერნიებში, ორლოვის, ტამბოვის, პენზის და დონის გუბერნიებში. ცოტათი გაუარესდა ნათესების მდგომარეობა სამხრეთ-აღმოსავლეთის გუბერნიებში, უკრაინაში, დონში და ყუბანში. ნათესების მდგომარეობა საგრძნობათ გაუმჯობესდა რუსეთის ჩრდილო-დასავლეთ და დასავლეთ გუბერნიებში, უკრაინის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ყირგიზთა რესპუბლიკის აღმოსავლეთ-ნაწილში, ციმბირის სამხრეთ ნაწილში საბჭოთა კავშირის დანარჩენ ნაწილში ნათესების მდგომარეობა უცვლელია.

საერთოდ ნათესების მდგომარეობა რუსეთში გაუარესდა ნიშნის ერთ მეათედ ნაწილით, უკრაინაში—უცვლელი დარჩა. ნათესების მდგომარეობა საერთო საკავშირო მასშტაბით ახლოა საშუალოსთან და ნიშნებით გამოიხატება—2,8.

პურეული შეკრებილი იქნება წრეულს იმდენი, რამდენიც შარშან—8 მილიარდ ფუთამდი.

ქართობილის მდგომარეობა საერთოდ დამაკმაყოფილებელია;

სელის ნათესების მდგომარეობა ფრიად დამაკმაყოფილებელია;

მზესუმზირასი — ძლიერ კარგია უკრაინის სამხრეთ და დნეპრის მარჯვენა ნაპირის რაიონებში, დამაკმაყოფილებელია—ცენტრალურ რაიონში და ვოლგის მხარეში;

სათიბების მდგომარეობა—დამაკმაყოფილებელია, ალაგ-ალაგ საშუალოზე უკეთესიც არის.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველოში

უმუშევრობის ლიკვიდაცია.

ფოთი. 24 ივნისი. წყალზე მომუშავეების კავშირში წერა-კითხვის უცოდინარობა სავსებით აღმოფხვრილია. ნაოსნობის დაწყების გამო საზღვაო ტრანსპორტის მუშაკების შორის უმუშევრობა სავსებით აღმოიფხვრა. ადგილობრივ ბირჟაზე დიდი მოთხოვნილებაა კვალიფიციური მუშების (მჭედლების, ზეინკლების და სხვ.), ბირჟა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

ჩაის პლანტაციების გაფართოება.

ბათომი. 24 ივნისი. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს გააფართოვოს წელს ჩაის პლანტაციების მოედანი აჭარისტანში 200 დესეტინით.

დახმარება უმუშევრებს.

ბათომი. 24 ივნისი. შრომის სახალხო კომისარიატმა მიიღო ოდესიდან 1000 ფუთი ფქვილი უმუშევრებისათვის დასარიგებლად.

წითელი ჯვრის დახმარება.

ბათომი. 24 ივნისი, საქართველოს წითელმა ჯვარმა დაუთმო თავის სანიტარული მატარებელი დასასვენებლად, ღამის გასათევად და საექიმო დახმარებისათვის სად. ბორჯომში იმ ავადმყოფებს, რომლებიც მიემგზავრებიან აბასთუმნის სანატორიუმში ან ბრუნდებიან იქიდან. მატარებელი მთელი ზაფხულის განმავლობაში იქნება სად. ბორჯომში.

საბჭოთა აჭარისტანში

— **შუამდგომლობა.** სოფ. ვაიოს (ქედის მაზრა) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს საფერშლო პუნქტის გახსნის შესახებ.

— **პანსიონის მოწყობა.** განათლების კომისარიატს განზრახული აქვს პანსიონის მოწყობა სხალთის თემში.

— **ზესოფლის გზის შეკეთება.** მცხოვრებლების ინიციატივით დაწყებულია ზესოფლის სასოფლო გზის შეკეთება.

— **ჭვანის გზის შეკეთება.** სახელმწიფო სააღმშენებლო მთავარ სამმართველომ დაასრულა ჭვანის გზის შეკეთება.

— **ხელფასის შემნახველი სალაროები.** ფინსახკომის რწმუნებულმა აჭარისტანში გადასწყვიტა მაზრებში მოაწყოს შემნახველი სალაროები.

— **სამოქალაქო მდგომარეობის განყოფილება.** სხალთის თემში (ხულოს მაზრ.) არსდება სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერი ქვეგანყოფილება.

— **მუშათა და გლეხთა ინსპექცია** განზრახული აქვს საკანტროლო მუშაობის გაფართოება მაზრებში.

— **ფართლეულობის გაგზავნა მაზრებში.** გლეხთა საურთიერთო ცენტრალურ კომიტეტმა მაზრებში გაგზავნა 22.000 მან. ღირებული ფართლეულობა გლეხებზე დასარიგებლად თვითღირებულ ფასებში.

— **ადმინისტრაცია მუშაობს.** ქედის მაზრის აღმასკომის ცნობით, ამ უკანასკნელ ხანებში მაზრაში არავითარ ბოროტმოქმედებას ადგილი არ ჰქონებია, რაც აიხსნება ადმინისტრაციის ენერგიულ მუშაობით.

— **საბეითლო მედიკამენტები.** სოფ. აჰყვის თავის საბეითლო პუნქტს გადაეგზავნა საბეითლო მედიკამენტები.

— **სკოლის გახსნა.** მომავალ სასწავლო წლიდან სოფ. გულებში (ქედის მაზრა) იხსნება ახალი სკოლა.

პარტიული ცხოვრება

სოფელს შესწავლა სჭირდება

(შეფების საყურადღებოთ)

ოქტომბრის რევოლიუციამ და ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ძირიან ფესვიანათ შეარყია ჩვენი სოფლის ცხოვრება და სასოფლო მეურნეობა ახალი გზით წაიყვანა. ამასთან ერთად სოფლის მცხოვრებთა შორის შეიქნა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთი განწყობილება და მით ჩვენი სოფლის სახე სავსებით შეიცვალა.

ჩვენი დაკვირვებანი, აქამდის არსებული სტატისტიკური მასალა და წარმოებული სოფლად მუშაობა არა კმარა. საჭიროა ეს მუშაობა გაღრმავდეს და მან მიიღოს ფართო და დაკვრითი ხასიათი.

რასაკვირველია, სოფლის შესწავლას ჩვენ ერთბაშათ ვერ შევიძლებთ, მაგრამ ტიპიური სოფლების გამოკვლევით ჩვენ შევსძლებთ მთელი სოფლის სურათის დახატვას, ისე, როგორათაც კიუვიე ახერხებდა ნაპოვნი ძვლით გადაშენებული ცხოველის მთელი ჩონჩხის აღდგენას.

სწორი, პროლეტარული დაკვირვებით და გამოკვლევით შეკრებილი ცნობები ხელს შეგვიწყობენ სოფლის საჭიროებათა დროზე დაკმაყოფილების საქმეში და მით ჩვენი მუშაობა სოფლათ უფრო მიზანშეწონილი და ნაყოფიერი იქნება.

ვინ შესძლებს ამის შესრულებას?

ამ ჟამათ ჩვენი ამხანაგები შვებულების დროს მიდიან სოფლებში, სადაც მათ მოუხდებათ გლეხობაში ცხოვრება. ჩვენა ვფიქრობთ, რომ, სხვათა შორის, სწორეთ ამ ამხანაგებმა უნდა ითავონ ეს საქმე და ბეჯითად ხელი მოჰკიდონ სოფლის შესწავლის საქმეს.

რას უნდა მიაქციონ ყურადღება?

ჩვენ აქ მოგვყავს სანიმუშო საკითხები და იმედია ყოველი ამხანაგი სოფლათ ყოფნის დროს, ამ საკითხებზედ შეაგროვებს და მოგვცემს სწორ და უტყუარ ცნობებს.

1. რომელ სოფელს იკვლევს ამხანაგი.

2. რამდენია ღარიბი, რამდენია საშუალო და შეძლებული გლეხი (გლეხების ფენებათ დაყოფაში, საჭიროა ვიხელმძღვანელოთ ამხ. ლენინის განმარტებით).

3. არის თუ არა კულაკები, ვაჭრები, მოიჯარადრეები ან რაიმე წარმოების მქონე პირები ხსენებულ სოფელში?

4. რა მდგომარეობაშია სასოფლო-მეურნეობა, სახელდობრ:

ა) რა სახის მეურნეობას ეწევიან გლეხები;

ბ) რა დონეზე სდგას ღარიბი და საშუალო გლეხის მეურნეობა. პრიმიტიულია იგი თუ კულტურული და რა გზით მიდის მისი განვითარება, რითი აიხსნება ეს მდგომარეობა?

გ) რა პირი აქვს წრევანდელ მოსავალს?

5. რაში გამოიხატება შეძლებული და „კულაკური“ ელემენტების მოქმედება: ასესხებენ ფულს, თესლეულობას; იძენენ გლეხისაგან საქონელს, თუ სხვა რამეს; ქირაობენ მუშებს თუ იჭერენ მოჯამაგირეებს თავიანთი მეურნეობის გასაძღოლათ; რა ახალი მეთოდით სარგებლობდენ ეს პირნი გლეხის დასამონებლათ და სხვა.

6. არიან თუ არა შეუძლო და ნახევრათ შეძლებული გლეხები დაკავშირებულნი კოოპერატივებში და გლეხკომებში; აქვთ თუ არა მოწყობილი არტელები, კომუნები და არის თუ არა მათში სურვილი ხსენებული ორგანიზაციების მოსაწყობათ?

7. არის თუ არა სოფლათ ინტელიგენტური ძალები: მასწავლებლები, აგრონომები, მიწის მზომლები, საბჭოთა დაწესებულების მოსამსახურეები და სხვა; რაში გამოიხატება მათი მოქმედება: თანაუგრძნობენ საბჭოთა ხელისუფლებას თუ არა და რამდენათ ძლიერია მათი გავლენა გლეხობის ამა თუ იმ ნაწილზე?

8. საით იხრება გლეხობის უმრავლესობის მდგომარეობა და რამდენათ ძლიერია გლეხთა ფენებათ დაყოფა?

9. რა მდგომარეობაშია სოფლათ კულტურულ განმანათლებელ და პოლიტიკური მუშაობა:

ა) არის სოფლათ მესაქონლეობის, მებაღეობის, მევენახეობის, მეღვინეობის, ხვნა-თესვის და სხვა საჩვენებელი პუნქტები თუ არა, და თუ არის, რამდენათ სარგებლობს ამით გლეხი. რა იარაღებით აწარმოებს გლეხი თავის მეურნეობას და სხვა.

ბ) არის სოფლათ სკოლა თუ არა და რამდენათ ასრულებს იგი თავის დანიშნულებას; არის თუ არა ქოხ-სამკითხველო, რამდენათ ამართლებს იგი ჩვენს იმედებს და რა ჟურნალ-გაზეთები მიდის იქ, არის თუ არა სოფლად სახალხო სახლი ან თეატრი და ეწყობა იქ თუ არა წარმოდგენები, მოხსენებები და სხვა.

გ) რამდენათ რეგულიარულათ სწარმოებს პოლიტიკური მუშაობა, არის თუ არა კომუჯრედი, სწარმოებს თუ არა კომკავშირის მუშაობა, რამდენათ არის ქალი ჩაბმული აღმშენებლობითი მუშაობაში; რა თემები აინტერესებთ გლეხობას და სხვა.

10. როგორ მიმდინარეობს საგლეხო სესხის საქმე, როგორ სწარმოებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი?

11. რამდენათ არის გლეხი ჩაბმული საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში.

12. რა განზრახვა აქვს სოფელს მომავალში შესასრულებლათ: გზების შეკეთება, ხიდების შეკეთება, სამეურნეო იარაღების შეძენა, კულტურულ დაწესებულებათა შენობების აგება და სხვა.

13. არის სოფლათ გლეხკორები თუ არა?

გ. ელისაბედაშვილი.

შორაპნის სამაზრო პარტიული სკოლა

17 ივნისს მოხდა შორაპნის სამაზრო პარტიული სკოლის მსმენელთა გამოშვება. ამ დღეს მოეწყო საზეიმო სხდომა, სადაც წარმოსთქვეს სიტყვები მაზრის ყველა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა და აგრეთვე თავის მხრივ მსმენელებმაც. ეს დღე აღსანიშნავია ჩვენთვის, მუშების და გლეხების შვილებისათვის, რომლებმაც დავამთავრეთ აღნიშნულა პარტიული სკოლა, სადაც ბევრი რამ ახალი შევიძინეთ და გულახდილად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ცხოვრებას ბრმათ აღარ ვუყურებთ. კურსები დავამთავრეთ 35 მსმენელმა, აქედან ორი ქალია. სწავლის მხრივ დიდი განსხვავება იყო ჩვენში, ერთკლასიანიდან ოთხკლასიანამდე, მაგრამ მიუხედავათ ასეთი განსხვავებისა სწავლა მაინც სასურველად მიმდინარეობდა, რაც მიეწერება ჩვენი ლექტორების დაუზოგავ და ენერგიულ მუშაობას. ჩვენი ულრმესი მადლობა ჭიათურის ტეხნიკუმის მასწავლებლებს: ამხ. ამხ., ავალიშვილს, ვ. შალამბერიძეს, ს. მარგველაშვილს, კ. გოდაბრელიძეს და ბარნაბიშვილს (ესენი იყვნენ კლასიკური საგნების ლექტორები, რომლებიც განსაკუთრებული სიხალისით მოდიოდენ გაკვეთილებზე და სულ რაღაც ექვსი-შვიდი თვის განმავლობაში შეგვათვისებინეს ის, რასაც სამი-ოთხი წელი სჭირდება.

რაც შეეხება პოლიტიკურ საგნებს, თუმცა სავსებით არა, მაგრამ დროსთან შეფარდებით ესეც ამოვწურეთ; აქ კი მადლობის ღირსია პარტ-შკოლის ყოფილი გამგე ამხ. გ. გოგიბერიძე, ახალი გამგე—ამხ. ტ. შარიქაძე და ლექტორი ამხ. გ. გეგეშიძე. თუმცა ეს უკანასკნელი სულ რაღაც ორი კვირის მოსული იყო, მაგრამ თავისი ენერგიული მუშაობით საგრძნობლად წინ წაგვწია პოლიტიკურ საგნებში... დღეს კი მაზრის პარტიული კომიტეტის განკარგულებით ჩვენ მოვეფინეთ ჩვენ-ჩვენ კუთხეებს და შეძლებისდაგვარად შევუდგებით მიღებულ თეორიის პრაქტიკაზე გამოყენებას, შევეცდებით დაუზარებლად ჩვენი ელემენტარული ცოდნა შევათვისებინოთ ჩვენი მუშებისა და გლეხების უსწავლელ შვილებს...

ამასთანავე გვაქვს იმედი, რომ ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლება არ დაგვტოვებს ამ სწავლის ამარა და მიგვიწვევს მეორე საფეხურის პარტიულ სკოლაში ამ ჩვენი ცოდნის გასაგრძელებლად და გასაღრმავებლად. ჩვენ ამას მოუთმენლად ველით.

ყოფილი მსმენელი **კალ. ნემსიწვერიძე.**

მუშები იპყრობენ მეცნიერებას

ქართულ მუშფაკში კურს-დამთავრებულთა გამოშვების გამო

2 წელიწადია, რაც თბილისში მუშათა ფაკულტეტი დაარსდა, სადაც სწავლობენ საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული მუშები და გლეხები.

1923 წ. მუშათა ფაკულტეტმა უნივერსიტეტს მისცა 15 კაცი, 1924 კი 35. და ამ ამხანაგების საპატივცემლოთ კვირას 22 ივნისს გაიმართა საღამო, სადაც მოწვეულნი იყვნენ ჩვენი პარტიის მოღვაწეები. ფაკულტეტის კლუბის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. კურსდამთავრებული მუშების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

საღამოს ხსნის ფაკულტეტის დეკანი ამხ. სიმონ ხუნდაძე, რომელიც ესალმება კურსდამთავრებულებს და მოუწოდებს მათ მედგარ ბრძოლისკენ ბურჟუაზიული მეცნიერების დასაპყრობათ.

მგრძნობიარე სიტყვით მიესალმა მსმენელებს ფაკულტეტის მათემატიკის მასწავლებელი, სახ. უნივერსიტეტის დოცენტი არჩილ ხარაძე. საქართველოს კომ. პარტიის სახელით ესალმება ჩვენი ჭაღარა ამხ. მიხა ჩოდრიშვილი, რომელმაც განუმარტა დამსწრეთ თუ რა ღვაწლი მიუძღვის და რამდენი სისხლი დაღვარა კომუნისტურმა პარტიამ მუშათა გამარჯვებისთვის და გათვითცნობიერებისთვის. შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. გიორგი ფირცხალავა და ულოცავს გამარჯვებას მუშფაკელებს. ის იგონებს ძველ რეჟიმს და ამბობს: აი აქ ამ სასწავლებელში (ყოფილი რეალური სასწ.) მუშას სწავლის უფლება კი არა, შემოსვლის უფლებაც კი არ ჰქონდა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუჯრედის სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. შალვა ოდილავაძე.

კრებამ გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა ამხ. ლუნაჩარსკის.

კონცერტის შემდეგ საღამოს დამსწრენი დაიშალენ.

ა. ჯალაღანია.

თბილისის საბჭოს პლენუმი

ორშაბათს, 23 ივნისს შესდგა თბილისის საბჭოს პლენუმი. დღის წესრიგში დასმული იყო 1) ინჟ. ჰიჭინაძის მოხსენება ზემოავჭალის ჰიდრო-ელ.-სადგურის მუშაობის მსვლელობათა შესახებ და 2) ამხ. რუხაძის მოხსენება—სექციათა მუშაობის შესახებ.

ინჟინერმა ჰიჭინაძემ საბჭოს სხდომაზე გააკეთა ვრცელი მოხსენება ქართულათ და რუსულათ ზემო ავჭალის ჰიდრო-ელ.-სადგურის მუშაობის მსვლელობის შესახებ უკანასკნელ დღემდე. მოხსენების შინაარსი უკვე გადმოცემული იყო გაზ. „კომუნისტის“ № 132-ში (11 ივნისის). საბჭომ ინჟ. ჰიჭინაძის მოხსენების თანახმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა ინჟ. ჰიჭინაძის მოხსენება, საბჭო ზემოავჭალის სააღმშენებლო მუშაობას დამაკმაყოფილებლათ სცნობს და „მაშინსტროისთან“ დადებულ ხელშეკრულებას ამტკიცებს“. საბჭო რეზოლიუციის მიღების შემდეგ ისმენს ამხ. რუხაძის მოხსენებას სექციათა მუშაობის შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მხოლოდ წრეულს მოხერხდა სექციათა მუშაობის მოგვარება და მუშაობის ნორმალურათ წარმოება. მაგრამ სექციების მუშაობას აქვს მრავალი მნიშვნელობანი ნაკლი, რომელთა შორის პირველია სექციის წევრების საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება, სხდომებზე მოუსვლელობა და მრავალი ამხანაგის სრულიად ჩაუწერლობა სექციაში. შემდეგ მომხსენებელს მოჰყავს ციფრიანი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი სხდომა ყოფილა და რამდენი ამხანაგი დასწრებია ამა თუ იმ სექციის სხდომას.

ამხ. რუხაძის მოხსენების მიხედვით საბჭო იღებს შემდეგ რეზოლიუციას:

1) წინადადება მიეცეს სექციის წევრებს რეგულიარულათ იარონ სექციების სხდომებზე.

2) წინადადება მიეცე საბჭოს იმ წევრებს, ვინც არ ჩაწერილა, ჩაეწეროს რომელიმე სექციაში.

3) მათ წინააღმდეგ, ვინც ამ წინადადებას არ შეასრულებს, მიღებულ იქნას კანონით გათვალისწინებული ზომები. ამასთანავე საბჭომ ერთხმად მიიღო ამხ. ვანო სტურუას შემდეგი დამატება: წინადადება მიეცეს სექციების ხელმძღვანელთ გამოცხადდენ სხდომებზე დაუგვიანებლათ დანიშნულ დროისთვის.

კოოპერაცია

საქართველოს კოოპერაციის ინსტრუქტორთა ყრილობა

გლეხკომები და კოოპერაცია

სხდომამ მოისმინა საქ. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის საორგანიზაციო განყოფილების გამგის ამხ. გვანცალაძის მოხსენება გლეხკომების და კოოპერაციის შესახებ. რევოლიუციამ და ომებმა შექმნეს გლეხობისათვის გაჭირვებული მდგომარეობა, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში. ცენტრიდან ამ გაჭირვებულთათვის სისტემატიური დახმარების მიწოდება შეუძლებელი იყო, ამიტომ მოწყობილი იქნა საგლეხო კომიტეტები ადგილობრივ, რომელთა რიცხვი დღეს საქართველოში 1.404 აღწევს. სოფლის გლეხკომები ირჩევენ სარაიონო გლეხკომს, სარაიონოები სამაზროს და შემდეგ სამაზროები ცენტრალურს. გლეხკომები ფრიად ფართე მიზნებს ისახავენ: ქვრივ-ობლებისათვის, ინვალიდებისათვის და სტიქიურ უბედურებათაგან გაჭირვებაში ჩავარდნილთათვის ყოველგვარი დახმარების აღმოჩენას. ჩვენში აღნიშნულ მიზნების ფარგლებსაც გასცილდა გლეხკომები. ასე, მაგალითად, ოზურგეთის მაზრაში გლეხკომებმა მოაწყვეს სახლი 50 მოწაფის მოსათავსებლათ და შესანახავათ. აფართოვებენ გლეხკომები თავის მიზნებს საექიმო დახმარების დარგშიაც. იდეა გლეხკომებისა იმაშია, რომ მცირე შეძლების ხალხმა თვითმოქმედებით დაიზღოს თავი სხვადასხვა უბედურებათაგან: ცეცხლისაგან, წყალდიდობისაგან და სხვა უბედურებისაგან. დღევანდელ არანორმალურ ეკონომიურ პირობებში, როდესაც კოოპერაციას ჯერ კიდევ არ ძალუძს, რომ თავისი საქმიანობით სავსებით უზრუნველყოს მოსახლეობის საჭიროებათა დაკმაყოფილება, გლეხკომების არსებობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს გლეხკომების საშუალებები იქმნება წევრთა თვითდაზღვევით და ძლიერდება საკუთარი ნათესების წარმოებით და წამოწყებებით. ამის გარდა გლეხკომებზე გადადის ადმინისტრატიული ან სასამართლოს წესით ჩამორთმეული ქონება. გლეხკომების განკარგულებაშია ამ ჟამათ ფულათ 40,000 მანეთამდე, ხორბალი 60.000 ფუთამდე, სიმინდი 50.000 ფუთამდე, პირუტყვი 147 თავი, 200 დესეტინა ბაღი, 27 სახლი, 3 აბანო, 9 სასადილო და სხვა. თავის ფონდებიდან გლეხკომები აძლევენ დახმარებას საჭმელათ ან სათესლეთ ხორბალის მიცემით. ზოგჯერ ეს გაცემა სესხის ხასიათს ატარებს. გლეხკომები უწევენ დახმარებას მოწაფეებსაც სასწავლო ნივთების და ტანთსაცმელის მიწოდებით. კულტურულ სფეროში გლეხკომები დიდ მიზნებს ისახავენ და რამოდენიმეთ ასრულებენ კიდეც. ადგილობრივი გლეხკომების მიერ აღძრული იყო სოფლისთვის ფართლეულის მიწოდების საკითხი. სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატმა გამონახა საშუალება და კრედიტში უშოვა მას ფართლეული. რასაკვირველია, სასურველია, რომ სოფლათ ფართლეული კოოპერატივების საშუალებით მიდიოდეს, მაგრამ სადაც კოოპერატივი მოიკოჭლებს, იქ გლეხკომი ეცდება კოოპერატივისთვის კონკურენციის გაწევის გარეშე მიაწოდოს ფართეული გლეხობას. საერთოდ კოოპერაციის ეხლანდელი მდგომარეობა და მისი ახლო წარსული ჩვენში არ აძლევს კოოპერატიულ ორგანიზაციებს საშუალებას ამოსწურონ თავის სამოქმედო რაიონის ყველა საჭიროებანი. ამიტომ გლეხკომი ჯერჯერობით ვერ აიღებს ხელს ისეთ საქმიანობაზე, რომელიც არსებითად კოოპერაციის მოვალეობაში შედის. ახლო მომავალი ამ მხრივ დიდ იმედებს იძლევა კოოპერაციისათვის. გლეხკომებსა და კოოპერატივებს შორის უნდა იქნეს შეთანხმებული მუშაობა, კონტაქტი, ისინი ურთიერთ დახმარების ნიადაგზე უნდა იდგნენ. კოოპერაციის მხრივ ეს დახმარება უნდა გამოიხატოს გლეხკომებისათვის საქონლის გასაღებაში, ხორბლეულის ერთი მაზრიდან მეორეში გადატანაში. გლეხკომები კი დაეხმარებიან კოოპერაციას მის გარშემო მეტი წევრების შემოკრებაში, კოოპერატიულ იდეების ფართე მასსაში გავრცელებაში. მომავალში, როდესაც კოოპერაცია საკმაოთ გაძლიერდება, შეიძლება ბევრი რამე, რასაც ეხლა გლეხკომები ასრულებენ, კოოპერაციამ აღასრულოს და გლეხკომებიც ზედმეტი გახდენ, მაგრამ დღეს-დღეობით კოოპერატივისა და გლეხკომების შორის არსებობს ანგარიშგასაწევი განსხვავება: კოოპერატივის წევრია ის, ვინც შესძლო საპაიო გადასახადის გადახდა, გლეხკომის წევრი კი ყოველი შეუძლო გლეხია, რომელსაც არ აქვს საშუალებაც კი რომ ეს საპაიო გადაიხადოს. გლეხკომებმა უნდა შეუწყონ ხელი შეუძლო გლეხებს ამ საპაიოს გადახდაში. გლეხკომებმა ხელი უნდა შეუწყონ კოოპერაციის განვითარებისა და გაძლიერების საქმეს.

კამათი.

ამხ. ერქომაიშვილი თავის პასუხში, რომელიც მან გასცა მომხსენებელს, აღნიშნავს, რომ გლეხკომებსა და კოოპერატივების შორის არსებობს მეტად არანორმალური ურთიერთობა და ქიშპობა, რომელიც აუცილებელ უნდა იქნეს აღმოფხვრილი. გლეხკომების და კოოპერაციის მზრუნველობის ობიექტი ერთი და იგივეა: გლეხობა. შესაძლებელია მიზნებში იყოს განსხვავება. მაგრამ ეს არ უნდა გახდეს პარალელურად მუშაობის საფუძველი, პირიქით, საჭიროა ურთიერთი დახმარება. ხოლო რამდენადაც საკითხი ისმის დახმარებაზე · აქ კოოპერაცია როგორც სათანამშრომლო ორგანიზაცია არ შეიძლება არ იქნეს გამოყენებული. ერთი მეორის წინააღმდეგ აგიტაციის წარმოება არც კოოპერაციას გამოადგება და არც გლეხკომებს. საჭიროა გამოინახოს პრაქტიკულ ნიადაგზე შეთანხმების შესაძლებლობა. სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატი და გლეხკომები კოოპერაციათ არ უნდა გადაიქცენ. იქ. სადაც კოოპერატივი არსებობს საგლეხო კომიტეტებმა თავისი სავაჭრო არ უნდა დააარსონ, ვინაიდან დუქნის დაარსებით საგლეხო კომიტეტი ითვისებს ადგილობრივ უკვე არსებულ კოოპერატივის ფუნქციებს. გლეხკომებმა ხელი უნდა შეუწყონ ცეკავშირს, რათა იქაც მოეწყოს კოოპერატივები, სადაც ისინი დღემდე არ არსებობდა. საპაიო თანხების გადახდაში ულარიბესთათვის დახმარების გაწევა დიდი დადებითი საქმეთ ჩაეთვლება გლეხკომებს კოოპერაციისაგან. უმჯობესია გლეხკომებმა თავისი საქონელი გადასცენ გასასაღებლათ კოოპერატივს უკვე არსებულ სავაჭროს და არ შექმნან დამოუკიდებელი სავაჭრო აპარატი, კოოპერატივები ამ საქონელზე თავის ხარჯების დასაფარავათ უმნიშვნელო პროცენტს დაადებენ და ამ შემთხვევაში მართლა უფრო რეალურათ იქნება უზრუნველყოფილი დასახმარ ფონდის შექმნა გლეხკომების მიერ. კოოპერაციამ თავის საქმიანობაში მჭიდრო კავშირი უნდა დაიჭიროს გლეხკომებთან და მათი საშუალებით უნდა ჩააბან კოოპერაციაში ულარიბესი გლეხები, პარტიული ყრილობის დადგენილებაც სხვათა შორის ამბობს ამასვე. მეტად არა-სასურველ ხასიათს და სახეს ღებულობს დღეს-დღეობით გლეხკომების მეტოქეობა კოოპერატივებთან. ამის დასამტკიცებელი საბუთები მრავლათ არის ცეკავშირში.

„ევკოგრუზი“-ს სარევიზიო კომისიის მუშაობის მაისის მოკლე ანგარიში

ქართული წითელი ლაშქრის სამხედრო მთლიანი მომხმარებელი კოოპერატივის „ევკოგრუზი“-ს მესამე რწმუნებულთა ყრილობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე აირჩია ახალი სარევიზიო კომისია, რომელიც შეუდგა თავის მუშაობას.

სარევიზიო კომისიამ გადასწყვიტა დეტალურად გაცნობა ნაწილების დახურული დუქნების და ცენტრალურ მაღაზიების, მუშაობაზე თვალყურის დევნა და თავის დროზე დეფექტების აღნიშვნა. ამ მიზნით მოწვეულ იქნა თბილისის გარნიზონის ნაწილების დუქნების ყველა მეთვალყურე კომისიების თავმჯდომარეთა თათბირი, სადაც აღნიშნულ იქნა არსებული მუშაობის როგორც დადებითი მხარეები, ისე უარყოფითიც. თათბირზე აღნიშნული დეფექტები, სარევიზიო კომისიამ მაშინვე აცნობა ცენტრალურ გამგეობას, რომელმაც მიიღო სათანადო ზომები ნაკლულევანებათა გამოსასწორებლად.

სარევიზიო კომისია მაისის თვის განმავლობაში შეიკრიბა ხუთჯერ, სადაც გაირჩა მიმდინარე საჭირბოროტო საკითხები.

ამავე დროს სარევიზიო კომისია ესწრებოდა გამგეობის პრეზიდიუმის ყველა სხდომებს და მათთან ერთად მონაწილეობას იღებდა ყოველგვარ საკითხების გარჩევაში.

მაისის თვის განმავლობაში სარევიზიო კომისიამ მოასწრო დათვალიერება შემდეგი ნაწილების დუქნების: ცხენოსან ლეგიონის, პირველი ლეგიონის, საავიაციო გარნიზონის, საარტილერიო დივიზიონის, უმცროს მეთაურთა სკოლის, მესანგრე ასეულის, საკავშირო ასეულის და დივლაზარეთის. ამასთანავე კომისია გაეცნო მთავარი კანტორის და რუსთაველის მაღაზიის მუშა-მოსამსახურეებს. შეამოწმა აგრეთვე მთავარი კანტორის სალარო და მიიღო მონაწილეობა რუსთაველის, პლეხანოვის მაღაზიების საქონლის და სახერხავი ქარხნის აღწერაში. უნდა აღინიშნოს, რომ სარევიზიო კომისია უმთავრეს ყურადღებას აქცევს საქონელზე პროც. დადებას და ხარისხს.

ამავე ხანში კომისია [illegible] რებს სურამის და ქუთაისის განყოფილებას, მეორე ლეგიონის დუქანს „ზაგას-კიასანი“-ს მამულს.

სარევიზიო [illegible] თავის მუშაობით გამოარკვია, რომ ცენტრალური [illegible] გასულ წელთან უფრო წარმატებით და ენერგიულადაც მუშაობს. თუ მუშაობა ასეთი წარმატებით წავიდა, ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წელი გაცილებით მეტ ნაყოფს მოუტანს კოოპერატივს, ვიდრე რომელიმე წარსული წელი.

ელიზბარ.

კოოპერატიული ქრონიკა

— **ცეკავშირი გენტის საერთაშორისო კოოპერატიულ გამოფენაზე** გზავნის თითო გლეხს კოოპერატორს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდან და ერთ მუშას თბილისიდან. ამ მიზნით მიეცა წინადადება სამტრედიის და სიღნაღის ცეკავშირის განყოფილებებს სასწრაფოთ დაასახლონ გასაგზავნი პირები. ასეთივე წინადადება მიეცა თბილისის მუშკოოპს.

— **ჭიათურის მთლიანი კოოპერატივის** წლიური კრება დანიშნულია 28 ივნისისათვის.

— **მტკიცე ხარჯთაღრიცხვა კოოპერატივებისთვის.** ვინაიდან საქართველოს მთლიანი კოოპერატივები თავის საქმიანობაში არ ემყარებოდენ წინდაწინ განსაზღვრულ მტკიცე ბიუჯეტს და ამიტომ ხდებოდა, რომ ზოგჯერ მათი ხარჯები სრულიად არ იყო შეფარდებული მათ შესაძლებლობებთან, რაიც ხშირათ კოოპერატივის დახურვასაც კი იწვევდა, ამიტომ ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებასთან შემდგარმა სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა მტკიცე ბიუჯეტის პროექტი ყველა მთლიან კოოპერატივებისათვის და დაუგზავნა იგი ინსტრუქტორებს სახელმძღვანელოთ.

— **ომში დასახიჩრებულთა სრულ. საქართველოს კოოპერატიული შენაერთი.** ამ ორგანიზაციის არა კოოპერატიულ საქმიანობაზე გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობების გამო შესდგა საუწყებათშორისო კომისია, რომელსაც დაევალა მისი საქმიანობის გამოკვლევა. კომისიამ, რომელშიაც წარმდგენილი იყო საქართველოს კოოპერაციის ცენტრის-ცეკავშირის საინსტრუქტორო განყოფილებაც, უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა და გამოკვლევა დასკვნითურთ გადასცა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს.

— **მატყლი.** ცეკავშირმა ჩააბარა რუსეთის საზოგადოება „შერსტს“ მასთან დადებულ ხელშეკრულების ანგარიშში 1.733 ფუთი მატყლი.

— **პარკი.** ცეკავშირის წარმომადგენლობამ მოსკოვში დასდო ხელშეკრულება საზოგადოება რუსოტიურკთამნ 1924 წლის აბრეშუმის პარკის (10.000 ფუთის) საკომისიო ნიადაგზე გასაღების შესახებ.

კოოპერატივების რეორგანიზაცია.

ცეკავშირის გამგეობის სხდომაზე გადაწყდა, მოხდეს საქართველოს სამრეწველო მუშათა ცენტრებში არსებულ მთლიანი კოოპერატივების რეორგანიზაცია მათი მუშათა კოოპერატივათ გადაკეთების მიზნით. ასეთი არიან ჭიათურის, ტყიბულის, ბათომის, ფოთის და ბორჯომის კოოპერატივები. ამ კოოპერატივების მუშკოოპებათ გადაკეთების მიზანია, რათა უფრო უკეთ იქნეს დაკმაყოფილებული მუშათა კლასის სპეციფიურ მოთხოვნილებანი კოოპერატივის საშუალებით. ამ რეორგანიზაციით ზემოჩამოთვლილი კოოპერატივების სამოქმედო არე მხოლოდ იმ სამრეწველო პუნქტით განისაზღვრება, სადაც ეს მუშკოოპები იქნება დაარსებული, ხოლო ამ პუნქტების ახლო მდებარე სოფლებში კოოპერატივებს აღარ ექნებათ განყოფილებები და ამიტომ საჭირო ხდება ამ სოფლებიდან ახალი კოოპერატიული ერთეულების გამოჭრა. ამ მუშაობის ჩასატარებლად ცეკავშირმა დაგზავნა ადგილობრივ ინსტრუქტორები. ამ რეორგანიზაციის დამთავრების შემდეგ საქ. პროფკავშირთა საბჭოში დაისმება და მოწესრიგდება საკითხი კოოპერაციის საშუალებით მუშებისათვის კრედიტში საქონლის მიცემის შესახებ.

საგლეხო სესხი და კოოპერაცია.

საგლეხო სესხი გამნაღდებელი კომისიის მომართვის თანახმად ცეკავშირის გამგეობამ დაადგინა განაღდებული იქნეს 50,000 მან., სესხისა. ამასთან მიღებულ იქნება კოოპერაციის მიერ სააგიტაციო ზომები ადგილობრივ ამ სესხის გასაღების შესახებ. მთელი ეს ოპერაცია გატარებულ იქნება ცეკავშირის საბანკო განყოფილების საშუალებით.

კოოპერატივი თეთრ წყაროში.

16 ივნისს, თეთრ წყაროში მოხდა ალბულაღის რაიონის მთლიანი კოოპერატივის რწმუნებულთა საზოგადო კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ცეკავშირის რწმუნებულის ამხ. დავითაიას მოხსენება კოოპერატიულ და კერძო ვაჭრობის შესახებ. ამის შემდეგ მოსმენილ იქნა ამ კოოპერატივის ძველი (დროებითი) გამგეობის მოხსენება მისი საქმიანობის შესახებ. გამგეობის მუშაობა არა დამაკმაყოფილებლათ იქნა ცნობილი. მოსმენილ იქნა აგრეთვე ამხ. დავითაიას განმარტებები კოოპერატივის წესდების ცალკე მუხლების შესახებ, რის შემდეგაც არჩეულ იქნა გამგეობა.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე.

წელს კოოპერაციის საერთაშორისო დღეთ დანიშნულია 5 ივლისი. ამ დღისთვის ცეკავშირი აწარმოებს სამზადისს. გაიმართება ლექციები კოოპერაციაზე, გამოიცემა ფურცლები, პლაკატები. ამავე დღისთვის გამოვა ცეკავშირის პერიოდული ორგანოს „კავშირის“ სპეციალური ნომერი.

კოოპერატიული გამომცემლობა.

ცეკავშირმა გამოსცა სასოფლო-სამეურნეო შინაარსის პლაკატი—„ხილის მცნობა“. ცეკავშირივე ბეჭდავს თავის სტამბაში და ამ ცოტა ხანში გამოვა გასასყიდათ ცეკავშირის საკონსერვო ქარხნის გამგის ამხ. ევსევი ბერიტაშვილის სახელმძღვანელო ხილის და ბოსტნეულის ხმობის შესახებ.

ცეკავშირმა მიიღო გამოსაცემათ შიო მღვიმელის საყმაწვილო ლექსები.

სასოფლო მეურნეობა

სასოფლო მეურნეობა და მავნეებთან ბრძოლა

მინდვრის თაგვებთან ბრძოლა აღმოსავლეთ საქართველოში უკვე დასრულდა, გარდა ახალ-ქალაქის მაზრისა, სადაც მუშაობა ამ მოკლე ხანში დამთავრდება.

მუშაობა სწარმოებდა თბილისის, სიღნაღის, დუშეთის და გორის მაზრებში.

აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მაზრებში და აგრეთვე დასავლეთ საქართველოში მინდვრის თაგვები წრეულს თითქმის არ გაჩენილან.

ზემოხსენებულ მაზრებში მხოლოდ ალაგ-ალაგ დარჩა დაუმუშავებელი ადგილები, სადაც თაგვები ნაკლებად იყო და ნათესების დაუზიანებლობის გამო მიზანშეუწონელი იყო წრეულს ბრძოლის წარმოება. ამ ადგილებში მავნეებთან ბრძოლა დაიწყება შემოდგომაზე.

თბილისს გარშემო მდებარე რაიონებში მინდვრის მავნეებთან ბრძოლის წარმოება ითავა ადგილობრივმა გლეხობამ, რომელიც უკანასკნელ წლებში დარწმუნდა ამ ბრძოლის სარგებლიანობაში.

გლეხები ხშირად მოდიოდენ მიწ. მოქ. სახ. კომ. არსებულ სასოფლო მეურნეობის მავნეებთან ბრძოლის ბიუროში და მიქონდათ საწამლავები. ამ რაიონის გლეხებს შორის არის პირები, რომელთაც მავნეებთან ბრძოლის წარმოება უკვე შესწავლილი აქვთ. სწორედ ამ გლეხების ხელმძღვანელობით სწარმოებდა მავნეებთან ბრძოლა, რომელმაც მეტად მნიშვნელოვანი ნაყოფი მოიტანა.

დუშეთის მაზრასა და თბილისის რაიონში წრეულს გამრავლდა თხუნელა. სასოფლო მეურნეობის მავნეებთან მებრძოლმა ბიურომ დაიწყო ამ მავნეებთან ბრძოლის წარმოება, რომელმაც კარგი ნაყოფი გამოიღო. გერმანულ კოლონიებში თვით გერმანელებმა მოსპეს ეს მავნე ცხოველი.

მუშაობის დამთავრების გამო მავნეებთან ბრძოლის დროებითი პერსონალის ნაწილი უკვე გაშვებულია.

გვალვა და ნათესების მდგომარეობა

ქვემო იმერეთი

ყანების მდგომარეობა.

ქვემო იმერეთს წრეულს მეტად ცუდ სამეურნეო წელი დაუდგა. ხანგრძლივმა გვალვამ, რომელსაც თან სდევდა აღმოსავლეთის ცხელი ქარი, ხელი შეუშალა სასოფლო-სამეურნეო მუშაობას. დღემდე ქუთაისის მაზრაში დათესილია დასათესი ყანების მხოლოდ ნახევარი. გვალვა გრძელდება და ამის გამო შეუძლებელი ხდება ყანების დათესვა. ამ მოკლე ხანში კიდეც რომ გაავდარდეს, ნამუშევარს მაინც ვერ გამოაბრუნებს.

ქვემო იმერეთში გავრცელებული სიმინდის ჯიშები ზრდისა და მომწიფებისთვის საჭიროებენ დაახლოვებით 5 თვეს, ამიტომ კიდეც რომ დაითესოს ახლა ყანები, შემოდგომამდე სიმინდი ვერ დამწიფდება.

მოსავლის პერსპექტივები.

ქუთაისის მაზრის დასათესი ყანების რაოდენობა უდრის დაახლოვებით 60,000 დესეტინას. მიმდინარე წელს დათესილა ამ რიცხვის ნახევარი—ე. ი. დაახლოვებით 30 ათასი დესეტ. ამ რიცხვიდან 10 ათასი დესეტ. დათესილია სარწყავ ადგილებში, ხოლო დანარჩენი 20 ათასი ურწყავ მინდვრებზე. ურწყავი ადგილებიდან ყოველ დესეტინაზე, გვალლოზე. ნაკლები მოსავალი, დაახლოვების გამო მოსალოდნელია, საშუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზით ყოველ დესეტინაზე 30 ფუთი, ხოლო სარწყავ ადგილების ყოველ დესეტინაზე საშუალოდ 80 ფუთი. ამგვარად სიმინდის საშუალო მოსავალი მთელ მაზრაში 1,500,000 ფუთზე მეტი არ იქნება. ხოლო ქვემო იმერეთის 300,000 მცხოვრებისათვის კი საჭიროა ყოველ თვიურად, მინიმუმ რომ ვიანგარიშოთ 400,000 ფუთი.

ამგვარად მოსალოდნელი მოსავალი დააკმაყოფილებს მოსახლეობას მხოლოდ 4 თვით ე. ი. მომავალი წლის მარტამდე. საერთო პურეულის დეფიციტი მთელი კუთხისთვის იქნება 3.500.000 ფუთი.

სარწყავი არხები.

ამჟამად ქვემო იმერეთში მუშაობს შემდეგი სარწყავი არხები:

ხონის და ეწერ-კულაშის სარწყავი არხი, რომელიც რწყავს 3.800 დესეტინას; მუხიანის არხი რწყავს 350 დესეტინას, ჭირაჯიბის არხი რწყავს 250 დესეტინას, მათხოჯის არხი—2.500 დესეტ., კულაშ-ღანირის არხი—2300 დესეტ., აფხანაურის—300 დესეტ., ვარციხის არხი—300 დესეტინას, აჯამეთის არხი—500 დესეტ.

სულ ამ არხებით მორწყული ყანების რაოდენობა უდრის—10.300 დესეტინას.

1922 წელს დაიწყო ორი დიდი არხის „მაშველის“ (12 ათასი დესეტ. მოსარწყავად) და ქ. საბჭოთა არხის (6 ათას დესეტინის მოსარწყავად) გაყვანა. განზრახული გეგმით ამ არხების გაყვანა უნდა დასრულებულიყო 1924 წლის დამდეგისათვის, მაგრამ სახსრის უქონლობის გამო, არხების კეთება სავსებით ვერ დასრულდა. არხების გაყვანა რომ დასრულებულიყო, მაზრაში მოირწყვებოდა 28,300 დესეტინა, ე. ი. მთელი მაზრის სათესი მოედნის ნახევარი. ასეთ პირობებში გვალვა საშიში არ იქნებოდა.

გარე-კახეთი

გარე-კახეთის რაიონში, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა 70 ათას უდრის, საშინელი გვალვებია, რომელიც ყანებს სწვავს და ანადგურებს გაზაფხულის ნათესები თითქმის სრულიად არ გაზრდილა, ხოლო შემოდგომის ჯეჯილის სიმაღლემ მიაღწია მხოლოდ მეოთხედ არშინს, ვიდრე სარწყავ ადგილებზე, რომელნიც მთელი რაიონის სათესი მოედნის მხოლოდ 3—4 პროცენტს შეადგენს, პურის ჯეჯილებმა თავი მოიწონა, მაგრამ ჯეჯილებს ახალი უბედურება დაატყდა. გაჩნდა რაღაც ჭრელი ჭია, რომელიც პურის თავების მოუმწიფებელ მარცვალს სწუწნის და სრულიად ანადგურებს.

გვალვამ გადასწვა აგრეთვე საძოვარი ადგილები. ამის გამო მოსახლეობას, რომელიც მეძროხეობას მისდევს და ყოველდღიურად თბილისის ბაზარს 250 ფუთს რძეს აწვდის, ძროხების საკვები ბალახი საკმარისად არ მოეპოვება, ამიტომ იკლო ძროხების წველამ.

ცუდია აგრეთვე სათიბების მდგომარეობაც. წრეულს ამ რაიონში თივა არ მოვა, რაც გამოიწვევს რძის მეურნეობის საგრძნობ შემცირებას ზამთრისათვის.

მეტად კარგი პირი უჩანს ვენახებს, რომლისგან თუ სეტყვა არ იქნა, გლეხები კარგ მოსავალს მოელიან.

ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატში

სალერბო გადასახადი.

საბჭოთა კავშირის ცაკის და სახ. კომ. საბჭოს 6 ივნისის დადგენილებით შეცვლილია უბრალო მიმდინარე ანგარიშებისათვის და ოპერაციებისათვის გადასახადის გადახდის წესი. სალერბო გადასახადი დაყვანილია 15 კაპეიკამდე ისეთ ანაბარის ჯამზე, რომელიც 100 მანეთს აღემატება.

სარეწაო გადასახადისაგან განთავისუფლებული წარმოებანი.

„წითელმა ჯვარმა“ შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. ფინ. სახკომის წინაშე, რათა ამ უკანასკნელს განთავისუფლებია მისი ორგანიზაციები სარეწაო გადასახადებისაგან. ამის საპასუხოდ ფინ. სახ. კომმა განმარტება გამოსცა, რომლის თანახმად მედიკო-სანიტარული დაწესებულებანი განთავისუფლებული არიან სარეწაო გადასახადისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ემსახურებიან ინვალიდებს და დაზარალებულ მოსახლეობას. გადასახადისაგან თავისუფალი არიან აგრეთვე სასადილოები, აფთიაქები, სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, რომელნიც კომერციულ მიზნებს არ ისახავენ.

ყველა ზემოხსენებული წარმოებანი და ორგანიზაციები განთავისუფლებულ იქნებიან გადასახადებისგან მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი ზემოხსენებულ წარმოებათა ექსპლოატაციას უშუალოდ, მესამე პირზე გადაუცემლად აწარმოებენ. ორგანიზაციებიკი, რომელნიც კომერციულ ხასიათს ატარებენ (რესტორანები, საბილიარდო ოთახები) სარეწაო გადასახადს იხდიან.

საგადასახადო საქმის გამორკვევა ა | კავკასიაში.

საგადასახადო საქმის დაყენების გამოსარკვევად ა | კ. ფინ. სახ. კომ. შეადგინა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს პირდაპირი გადასახადთა განყოფილების გამგე და რომელშიაც შედიან არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილებათა და ადგილობრივ საფინანსო სამმართველოს წარმომადგენელნი. კომისია პირველ რიგში მოახდენს საქართველოს გამოკვლევას. კომისიის წევრები უკვე გაემგზავრენ დასავლეთ საქართველოში.

ადგილობრივი და სახელმწიფო მნიშვნელობის ქონება.

ა | კ. ფინ. სახ. კ—მი ამუშავებს სახელმწიფო მნიშვნელობის ქონებით სარგებლობის წესს. მთელი სახელმწიფო ქონება იყოფა ორ ნაწილად—საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის და ადგილობრივ მნიშვნელობის ქონებად. განიხილება აგრეთვე სამრეწველო დაწესებულებების ორ კატეგორიად დაყოფის პროექტი, რომლის თანახმად საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის წარმოებას გამოეყოფიან ადგილობრივი მნიშვნელობის ნაწარმოებნი.

უმუშევრობა ა. კ. რესპუბლიკებში

(1924 წლის პირველი მეოთხედი).

თუ დავახასიათებთ შრომის ბაზრის მდგომარეობას ა. კ. რესპუბლიკებში 1924 წლის პირველ მეოთხედში, პირველ ყოვლისა თვალში გვეცემა უმუშევრობის საერთო ზრდა ამ პერიოდში.

უმუშევართა რაოდენობა.

ამა წლის პირველი იანვრისათვის იმ უმუშევართა რიცხვი, რომელნიც აღრიცხულნი იყვნენ შრომის ბირჟების მიერ მთელს ა.-კავკასიაში, შეადგენდა 51,673-ს, ხოლო იმავე წლის აპრილში—57.011.

ამ რიცხვიდან საქართველოზე მოდის—30.325, აზერბეიჯანზე—22.510 ხოლო სომხეთზე—4174.

ამნაირად, უმუშევართა უმეტესი ნაწილი თავს იყრის საქართველოში, განსაკუთრებით უმუშევრობა იზრდება ტფილისში (1 იანვრისთვის იყო 13.623 უმუშ. ხოლო 1 აპრილისთვის 19.388). პირიქით, მაზრებში შემჩნეულია უმუშევართა რიცხვის შემცირება.

უმუშევრობა სქესის მიხედვით.

თუ ჩვენ განვიხილავთ უმუშევრებს სქესის მიხედვით, დავინახავთ, რომ საშუალოდ უმუშევარ ქალთა და ვაჟთა რაოდენობა 1 აპრილისთვის იგივე დარჩა, რაც იყო 1 იანვრისთვის, ე. ი. 65,8 პროცენტი, მამაკაცი და 34,2 პროცენტი დედაკაცი. მაგრამ ცალკე რესპუბლიკებში ეს პროცენტული შეფარდება შეცვლილია. იმ დროს, როცა აზერბეიჯანში მომხდარა უმუშევარ ქალთა რაოდენობის შემცირება (31,9 პროცენტიდან—29 პროცენტ.). საქართველოსა და სომხეთში სულ სხვა სურათია. საქ-ში უმუშევარ ქალთა რაოდენობა 1 იანვრის 38,7 პროც. გადიდებულა 40,5 პროცენტამდე, ხოლო სომხეთისთვის 31,9 პროც.—33,4 პროც.

უმუშევრობა ჰასაკის მიხედვით.

უმუშევართა ჰასაკობრივი შემადგენლობა ასეთია:

ორივე სქესის სრულჰასაკოვანი უმუშევარი შეადგენს ყველა რესპუბლიკებში—91,9 პროცენტს, მოზარდნი 8,1 პროცენტს (ანუ 3.607 კაცი), მოზარდ უმუშევართა რიცხვი ცალკე რესპუბლიკებზე ასე ნაწილდება; აზერბეიჯანი—2.171 კაცი, საქართველო—921, ხოლო სომხეთი—515 კაცი.

უმუშევართა რაოდენობა მთელ სამუშაო ძალასთან შეფარდებით.

1 იანვრისთვის უმუშევართა რაოდენობა შეადგენდა მუშაობაში დაბანდებულ მთელი მუშა-ძალის 23,4 პროცენტს, ხოლო პირველი აპრილისთვის 23,7 პროცენტს, ე. ი. შეფარდება თითქმის უცვლელი დარჩა. ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ უმუშევრობასთან ერთად გადიდებულა საქმეში დაბანდებულ მუშათა საერთო რაოდენობაც. ეს ფაქტი შედეგია იმისა, რომ ა. კ. სოც. რესპუბლიკათა საწარმოო ძალები და მრეწველობა განვითარების გზას ადგას, ხოლო უმუშევართა გადიდება კი გამოიწვია რამოდენიმედ ჩვენი სახელმწიფო საბჭოთა აპარატების განმარტივება-შემოკლებამ, უმთავრესად უმუშევრობის ზრდის მიზეზი კი არის შრომის ბირჟაში არაკვალიფიკაციური და, ნაწილობრივად, არამშრომელი ელემენტის დაგროვება. უმუშევრობის მიზეზად არაფრის გზით არ ჩაითვლება ჩვენი მრეწველობის შემცირება.

წითელ ჯარში

საბიბლიოთეკო საქმე ქართულ ჯარში

8 ივნისს, ქართულ მსროლელ დივიზიის ცენტრალურ კლუბში, საღამოს 7 საათზე—პატარა დარბაზში—გაიხსნა ამავე დივიზიის საბიბლიოთეკო გამოფენა, სადაც დივიზ. ნაწილების და პოლიტგანყოფილების წარმომადგენლებთან ერთად, დაესწრენ აგრეთვე, კავკასიის წითელ დროშოვან არმიის საბიბლიოთეკო სექციის გამგე ამხ. პოპოვი, პუშკინის ბიბლიოთეკიდან—ამხ. ციციშვილი და სხვები.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა პოლიტგანყოფილების სააგიტპროპო ნაწილის უფროსი ამხ. კოტე გორდელაძე, რომელმაც დაახასიათა საბიბლიოთეკო მუშაობა და მისი ამოცანები.

გამოფენა გაგრძელდება ორკვირამდის და კრებამ გადასწყვიტა, რადგანაც ეს გამოფენა ქართულ დივიზიისა საბიბლიოთეკო დარგში პირველი დემონსტრაციაა,—საჭიროა, რომ ამას გაეცნოს ფართე საზოგადოება, როგორც სამხედრო ისე სამოქალაქო დაწესებულებებიდან გადასწყდა ეს ეცნობოს მთავარ პოლიტ-განათლების მართველობას რათა მან დაავალოს ყველა საბიბლიოთეკო საქმეში მომუშავეებს (სამოქალაქოს) გაეცნონ ამ გამოფენას, რომელიც ბევრს ახალს შესძენს მათ ამ საქმეში.

მოწვეულ ხალხისთვის და წითელარმიელებისათვის წაკითხულ იქნება მოხსენებები, მოწყობილ იქნება ხმამაღალი კითხვები, საუბრები, ახსნა-განმარტებები და სხვა.

არჩეულ იქნა შემფასებელი კომისია (ჟიური) 5 კაცისაგან შემდგარი, რომელშიც შევიდენ შემდეგი ამხანაგები: პოპოვი, ციციშვილი, ქავთარაძე, ბახტაძე და მურადოვა.

გამოფენაზე წარმოდგენილი არიან შემდეგი ნაწილები.

1, დივიზიის ცენტრალური ბიბლიოთეკა, 2. საბიბლიოთეკო კოლექტორი, 3, ცალკე საკავშირო ასეული 4. ცხენოსანი ლეგიონი 5. უმცროს მეთაურთა სკოლა, 6. საარტილერიო დივიზიონი და 7. 1, 2 და 3 ლეგიონები.

ყველა ნაწილს თავისი კუთხე აქვს, სადაც გამოფენილია საბიბლიოთეკო ნამუშევარი. ყველას ეტყობა ცდა და შესაფერისი ცოდნა ამ საქმის. ყველა ერთი-მეორეზე უკეთესია. დიდი ყურადღების ღირსია ცენტრალურ ბიბლიოთეკის „საბიბლიოთეკო მოამბე“ ორი ნომერი (კედლის გაზეთებია), სადაც თითქმის ყველა ნაწილების ბიბლიოთეკრები იღებენ მონაწილეობას.

წარმოდგენილი ნიმუშებია 1. დიაგრამები: ა) წიგნების რაოდენობა ბიბლიოთეკებში—განყოფილების მიხედვით; ბ) მკითხველთა რაოდენობა—თანამდებობების მიხედვით; გ) გაცემულ წიგნთა რაოდენობა—განყოფილებების მიხედვით. 2. პლაკატები, 3. ლოზუნგები, 4. სარეკომენდაციო სიები, 5. ალბომები და 6. კედლის გაზეთები.

ბიბლიოთეკა ღიაა ყოველ დღე და შესვლა უფასოა.

ამ მოკლე ხანში მოხდება არმიის საბიბლიოთეკო გამოფენა, სადაც ქართული დივიზიის ბიბლიოთეკები მთლიანად მიიღებენ მონაწილეობას.

მეთვალყურე.

სოფ. მუხროვანი (გარე-კახეთი)

ახალ წევრების საზეიმო შეხვედრა

14 ივნის საღამოს 8 საათზე სოფ. მუხროვანში შესდგა საზეიმო საღამო—შეხვედრა ახალწვეულების. საღამო გაიხსნა ყაზარმაში, რომელიც გამოიყურება ლამაზათ და სუფთათ. შიგ მოწყობილია პატარა სცენა-თეატრი, ბიბლიოთეკა, პოლიტიკური კუთხე, ლენინის კუთხე და სხვა.

წითელარმიელები გამოიყურებიან ყოჩაღათ, სუფთათ არიან ჩაცმულნი, კველას აქვს თავის საწოლი სუფთა ქვეშაგებით. პოლიტშემადგენლობა აღჭურვილია პოლიტიკური ცოდნით და ერთგულია თავის დიდ მოვალეობის. მდებარეობა სოფლის, სადაც დაბინავებულია ბატარეია,—მშვენიერია.

8 საათზე საზეიმო სხდომა გაიხსნა სამხკომი ამხ. ტაბუცაძეს მისალმებით ახალი გაწვეულებისადმი, რომელიაც აუხსნა წითელი არმიის მიზანი და მნიშვნელობა. შემდეგ მისასალმებელ სიტყვით გამოვიდენ რაიპარტკომის მდივანი და სხვა ამხანაგები.

საღამო კარგათ ჩატარდა და დიდი კმაყოფილება გამოიწვია ჯარისკაცებში, რომლებმაც ფიცი დასდეს, რომ ფხიზლად იდგომებიან რევოლუციის სადარაჯოზე და ძირს არ დახრიან სახელოვან წითელ დროშას. საღამოს დასასრულ გაიმართა წარმოდგენა ადგილობრივი ძალებით.

პარტკომი ა. სეხნიაშვილი.

რკინის გზებზე

თათბირი რკინისგზის სამმართველოში. ცენტრიდან ჩამოსულ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახალხო გზათა კომისარიატის საცივე ნაწილის უფროსის პ. ი. დენისოვის თავმჯდომარეობით ხუთშაბათს 26 ივნისს საღამოს 6 საათზედ ამიერ-კავკასიის რკინის გზების მთავარ სამმართველოს ეკონომიურ სამსახურში დანიშნულია სხდომა მალმხდენ საქონლის გადაზიდ-გადმოზიდვის საკითხის მოსაგვარებლად.

სხდომაზე უწყებებით მოწვეულნი არიან წარმომადგენლები: ქალ. თბილისის აღმასკომის, საქართველოს სახელმწიფო სავაჭროს, ცენტროსოიუზის განყოფილების, ცეკავშირის, წარმოკავშირის, კოოპერატივ „ქართლის“, ბორჯომის წყლის კონტრაგენტი მოქ. ქებაძე, ერკოოპის, მიწად-მოქმედების კომისარიატის და სამრეწველო ბანკის. გარდა ამისა ყველა დაინტერესებულ დაწესებულებათ და კერძო პირთ შეუძლიანთ დაესწრონ სხდომას.

ამხ. პოზდეევის ჩამოსვლა: დაბრუნდა მოსკოვიდან და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას ა | კ. რკინისგზების უფროსი ამხ. პოზდეევი.

საავადმყოფოს შენობის გაფართოება. საგაზაფხულო კომისიამ დაადგინა გააფართოოს ქ. ბათომის საქონლის სადგურში არსებულ საავადმყოფოს შენობა 40 კვ. საჟ. ამ მიზნისათვის გაიღეს 4.000 მანეთი.

შრომის დასაცავათ: საგაზაფხულო კომისიამ დაადგინა მოწყობილ იქნეს საბანაო ბათომის დეპოში, რისთვისაც გაღებულ იქნეს 300 მანეთის თანხა.

ახალი საბინაო სახლის აშენება ბათომში: საგაზაფხულო კომისიამ დაადგინა მიმდინარე წელში ბათომში ახალი საბინაო 120 კვ. საჟენიანი სახლის ასაშენებლად გაღებულ იქნეს 12.000 მანეთი.

წითელ ჯვარში

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისაგან ბავშვთა დახმარებისათვის მიღებული თანხა საქ. წითელმა ჯვარმა გადასცა სათანადო ორგანიზაციებს დუშეთის ბავშვთა, განათლების სახალხო კომისარიატის საბავშვო სახლებისა უპატრონოთ დარჩენილ და გადმოსახლებულ უდინთა ბავშვების საჭიროებისათვის.

— ქუთაისის აღმასკომი შუამდგომლობს საქ. წითელი ჯვრის წინაშე საექიმო დახმარებას მოკლებულ სოფ. გორდისა და კინჩხასათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

— ყარაიაზის აღმასკომის მიერ შუამდგომლობის გამო ყარაიაზში მალარიის საწინააღმდეგო ექსპედიციის გაგზავნის შესახებ, წითელმა ჯვარმა ჯერჯერობით გაუგზავნა აღმასკომს ქინაქინა მცხოვრებთა შორის უფასოთ დასარიგებლათ.

— თბილისის მუშა-მოსამსახურეთა შორის მაისის და ივნისის განმავლობაში წითელ ჯვარში წევრათ ჩაეწერა 6000-მდე კაცი.

— წითელი ჯვრის პრეზიდიუმმა დაადგინა მიიღოს მონაწილეობა გორის საალმშენებლო ფონდის გაძლიერებაში.

— საერთაშორისო კომიტეტის მიერ ივნისისათვის დანიშნული წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენცია გადაიდო სექტემბრისათვის.

— წითელი ჯვრის სანიტარული მატარებლები დროებით საექსპლოატაციოთ გადაეცა საკურორტო სამმართველოს, რომელიც მოიხმარს მათ პროფკავშირის წევრთა აგარაკებში გასაგზავნათ.

საბჭოთა სასამართლო

ცოლის მკვლელი

აღმ. საქ. ოლქის სასამართლომ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე **დ. ნასარიძე**, სახ. მსაჯულნი **მ. მიქაუტაძე და კ. ფარცხვანია**, პროკ. თანაშემწე **ს. ჭიჭინაძე** და მდივანი **გ. არჩუაშვილი**,—მოისმინა ამიერ-კავკ. საგანგებო კომისიის მე—8 პოლკის წითელ არმიელ გრიგოლ რომანისძე ბონდარენკოს საქმე, რომელსაც ბრალათ ედებოდა ს. ს. კ-ის 146 მ. პ. „ა“-ში გათვალისწინებული ბოროტმოქმედება. წინასწარ გამოძიებისას და სასამართლოს ძიების დროს გამოირკვა შემდეგი:

ორიოდე წლის წინეთ გრ. ბონდარენკომ ქ. ბათომში ცოლი შეირთო. ცოლი ნადეჟდა ერთხანს წესიერათ ცხოვრობდა ქმართან. მაგრამ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, როდესაც ქალს გაუჩნდა ბათომში ნაცნობმეგობართა საკმაო წრე, ქალმა ხელი მიჰყო უზნეო საქციელს, საეჭვო დროს ტარებას ნაცნობ მამაკაცებთან ღამეობით და ქმრის ღალატს, რის მოწმეთ ერთხელ თვით ქმარიც გახდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ქმარი გადმოვიდა თფილისში, სადაც მსახურობდა ამ.-კავ. საგანგებო კომისიის სამხედრო ნაწილში.

ქალი აქაც განაგრძობდა გარყვნილ ყოფა-ცხოვრებას, რაც ყველა მოწმეებმა დაადასტურეს. ერთხელ, ა. წ. 13 აპრილს ნაშუადღევის 4 საათზე შინ დაბრუნებულმა ქმარმა შეამჩნია, რომ როდესაც ის ოთახში შედიოდა ოთახიდან უკანა კარში გარბოდა ვიღაც მამაკაცი. ატყდა ჩვეულებრივი უსიამოვნება ქმარსა და ცოლს შორის. ქმრის კითხვებზე ცოლი გინებით უპასუხებდა. აღელვებულმა ბონდარენკომ ცოლს ყელში მარცხენა ხელი წაუჭირა და წაართვა მას ხმის ამოღების საშუალება, შემდეგ მარჯვენა ხელით აიღო მაგიდიდან სამართებელი და ხერხემლამდე ყელი ამოუჭრა. ქალი უხმოთ გარდაიცვალა. მკვლელმა ოთახიდან გასვლისას მოახერხა კარის გადარაზვა შიგნიდან, შემდეგ გავიდა ეზოში და სადარაჯოებზე მიმავალ ჯარისკაცთა რიგში ჩადგა.

წითელ არმიელი ბონდარენკო ახალგაზრდა, პატიოსანი და ბეჯითი ჯარისკაცი ყოფილა. მან აღიარა თავისი ბოროტმოქმედება და მკვლელობის ამბავი თვითონვე უამბო როგორც გამომძიებელს, ისე სასამართლოს. თანახმათ ზემოაღნიშნულ მუხლისა სასამართლომ მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა. 8 წლით მკაცრი იზოლიაციით გამასწ. სახლ'ში, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში: რომ ბოროტმოქმედება ბრალდებულს პირველათ ჩაედინა, რომ ის კეთილსინიდისიერი და ბეჯითი წითელ-არმიელია, ხოლო სოციალური მდგომარეობით—მიწის მუშა, მარტოოდენ წერა-კითხვის მცოდნე და რომ ბოროტ-მოქმედება ჩადენილ იქნა ძლიერი სულიერ აღელვებისას, სასამართლომ სასჯელის ვადა ბრალდებულს გაუნახევრა სამოქალაქო უფლებების შეზღუდვით 5 წლის ვადით.

„კომუნისტი“

მიიღება ხელის მოწერა ივლისისათვის

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წ.-არმიელებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით გაზეთი ეღირება:

1 თვით 65 კაპ. 2 თვით—1 მან. 10 კაპ. 3 თვით—1 მან. 60 კაპ. 6 თვით—3 მან. 60 კაპ.

ყველა დანარჩენებისათვის გაგზავნით

თბილისში
(ბინაზე მიტანით)

1 თვით	. . . .		85 კაპ.
2 „	. . . .	1 მან.	60 „
3 „	. . . .	2 „	40 „
წლის ბოლომდი	.	4 „	80 „

პროვინციაში
(გაგზავნით)

1 თვით	. . . .		95 კაპ.
2 „	. . . .	1 მან.	80 „
3 „	. . . .	2 „	70 „
წლის ბოლომდე	.	5 „	40 „

ყველა ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ „კომუნისტი“-ს ორკვირეულ სალიტერატურო სამხატვრო დამატებას „ჩირაღდანს“

გარდა ამისა

3 თვის ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ
1. ნ. ლენინი—უკანასკნელი წერილები.
2. პროგრამა და წესდება რუსეთის კომუნისტური პარტიისა.

6 თვის ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ
1. ნ. ლენინი—გლეხობის შესახებ.
2. გ. ზინოვიევი—ლენინი.
3. კონსტიტუცია—სოც. საბ. რესპუბლიკების კავშირისა.

ქართულ მუშფაკის ცხოვრებიდან

1924 წ. 22 ივნისს დღით მომწყობ კომისიის თაოსნობით, რომლებიც კომ-ბიუროს და სტუდკომის და ამ. კკ. კომ-ბიუროს მიერ გამოყოფილი იყო, მოაწყვეს საღამო კურსდამთავრებულ მსმენელების საპატივცემლოდ. საღამოზე დაესწრენ მსმენელების და ლექტორთა უმეტესობა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საზეიმო საღამოს ხსნის მუშათა ფაკულტეტის დეკანი სიმონ ხუნდაძე, რომელიც ვრცლად აცნობს დამსწრე საზოგადოებას მუშფაკის არსებობის ისტორიას, მის მოღვაწეობას და მის მნიშვნელობას.

დამსწრე საზოგადოება მომხსენებელს აჯილდოებს მხურვალე ტაშის ცემით. ორკესტრი ინტერნაციონალს უკრავს.

მისასალმებელ სიტყვას ამბობს ლექტორთა წარმომადგენელი ალექ. მდივანი, რომელიც იმედს გამოსთქვამს, რომ კურსდამთავრებულნი შესძლებენ მათზე დაკისრებულ იმედების გამართლებას.

შემდეგ სიტყვას მუშფაკის კომუჯრედის სახელით ეძლევა ამხ. გ. ლოფანაშვილს რომელიც გულწრფელ სალამს უძღვნის კურსდამთავრებულთ. კომპარტიის სახელით სიტყვას ამბობს მოხუცი ამხანაგი ჩოდრიშვილი. დამსწრე საზოგადოება მხურვალე ტაშისცემით ეგებება ამხ. ჩოდრიშვილის მისალმებას.

შემდეგ მოსმენილი იქნა მრავალი მისალმებები. სიტყვა სთქვა აგრეთვე კურსდამთავრებულთა წარმომადგენელმა.

ი. ყ.

მეცნიერება-ტეხნიკა

მოგზაურობა პლანეტებს შორის.

ჯერ კიდევ ცნობილმა რუსმა რევოლიუციონერმა, ალექსანდრე მეორეზე თავდასხმაში მონაწილემ კიბალჩიჩმა შეადგინა პროექტი ისეთი აპარატის, რომელიც გასცილდებოდა დედამიწის მიმზიდველობის წრეს და შესძლებდა მოგზაურობას პლანეტებს შორის. შემდეგ ეს საკითხი უფრო სერიოზულათ დაამუშავა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა კ. ციოლკოვსკიმ, რომელმაც ასეთი მოგზაურობისათვის საჭირო აპარატის პროექტიც კი შეადგინა.

მოგზაურობა პლანეტებს შორის სრულიად არ არის უტოპიური. ყოველშემთხვევაში თეორეტიულად მთელ რიგმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ეს შესაძლებელია.

დღემდი ეს თემა ბელეტრისტების სამფლობელოს შეადგენდა. და თუ თვალს გადავავლებთ მრავალ გამოგონებათა ისტორიას დავინახავთ. რომ ყოველთვის ასე ხდებოდა-ბელეტრისტის ფანტაზია თითქმის ყოველთვის წინ უსწრობდა მეცნიერულ აღმოჩენა-გამოგონებებს. აეროპლანი, ვერტიკალური ფრენა, წყალქვეშა ნავები, თვით მატიუსის „სიკვდილის სხივები“,—განა ყველაფერი ეს რამდენიმე ათეული წლის წინათ არ მოგვცა ჟიულ ვერნის მდიდარმა ფანტაზიამ? და განა ჩვენ ასეთივე საბუთით არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ უელსის ფანტაზიის ნაყოფიც ასე შეისხამს სისხლ-ხორცს რამდენიმე წლის თუ ათეული წლების განმავლობაში? ამ აზრს საუცხოვოდ ადასტურებს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ (ჯერჯერობით) ფანტასტიურ ბელეტრისტიკას ხელი მოჰკიდეს თვით დამსახურებულმა მეცნიერებმა, მაგალითად გერმანელმა ქიმიკოსმა კურტ ლასვიცმა რამდენიმე წლის წინათ დასწერა რომანი „ორ პლანეტაზე“, რომელშიც ხატავს მომავალი ცხოვრების ნახევრათ ფანტასტიურ, ნახევრათ რეალურ სურათს.

ელექტრო-ტეხნიკის პროფესორმა, საგალკამ (ვენა) მთელი მეცნიერული თეორია წარმოადგინა. ამ თეორიის მიხედვით, დედამიწა განუწყვეტლივ განიცდის ეთერის ატომების დაჯახებას. ეთერის ატომები იჭრებიან ჩვენს პლანეტაში, ისინი ასუსტებენ ჩვენი პლანეტის მოძრაობის სისწრაფეს. ამის გამო ეთერის ზღვიდან მოჭრილი ახალი ატომები უფრო და უფრო მეტის სიძლიერით ეჯახებიან დედამიწას და ყველაფერს, რაც დედამიწის გარეშე იმყოფება, იზიდავენ მისკენ (საგულკა, სხვათაშორის, ამით ხსნის დედამიწის მიმზიდველობის ძალას). „თუ,—ამბობს პროფესორი საგილკა,—ჩვენ აღმოვაჩენთ ისეთ ნივთიერებას, რომელსაც ეთერის ატომები ვერაფერს დააკლებან, ჩვენ შევძლებთ პლანეტებს შორის სამგზავროთ ხომალდების აშენებას, ამ ხომალდების გარედან შემოვაკრავთ იმ ნივთიერების და ამით გავათავისუფლებთ მას ეთერის ატომების დაწოლისაგან, ე. ი. ხომალდს არავითარი წონა არ ექნება, ხომალდი განთავისუფლდება დედამიწის მიმზიდველობისაგან და ჰაერის მიწოლის საშუალებით გასცილდება დედამიწას“. ხომალდისათვის შესაფერი მიმართულების მისაცემად, საგულკის აზრით საჭიროა ხომალდის ამა თუ იმ ნაწილის განთავისუფლება ზემოთ აღნიშნულ ნივთიერებისაგან, მაშინ ხომალდის ამ ნაწილს მიიზიდავს რომელიმე პლანეტა.

შვედი მეცნიერი სვანტე არრენიუსი ფიქრობს, რომ სამყაროს სივრცეში სცურავენ ბაქტერიები, რომლებიც სინათლის ზეგავლენით სცილდებიან პლანეტის ატმოსფერას და მოძრაობენ სინათლის სხივის სისწრაფით. ამით აიხსნება, არრენიუსის აზრით ჩანასახების და მარტივი ორგანიზმების გადატანა ერთი პლანეტიდან მეორეზე, თუგინდ მარსიდან დედამიწაზე ან პირიქით. მაშასადამე, ამ თეორიის თანახმად მოგზაურობა პლანეტებს შორის უკვე ხდება. არრენიუსის აზრით, ბაქტერიებს შეუძლიათ გადაიტანონ სამყაროს სივრცეში არსებული დაბალი ტემპერატურა უჭაერობა.

რადიო-აპარატების რაოდენობა ბერლინში.

ბერლინში 5 თვის განმავლობაში დაიდგა 100.000 კერძო რადიო-აპარატი (ბინებზე) მუსიკის მოსასმენათ, ბირჟის და სხვა ცნობების მისაღებათ. ყველა ეს აპარატები გატარებული არიან რეგისტრაციაში საფოსტო უწყებაში. სპეციალისტების აზრით, ბერლინში არის კიდევ 50.000 რადიო-აპარატი, რომლებიც რეგისტრაციაში არ არიან გატარებული.

აეროპლანების დაღუპვა.

— ტეხასში (ამერიკა) ვერსნახევარის სიმაღლიდან ჩამოვარდა აეროპლანი. მფრინავი გადარჩა პარამიუტით (სპეციალური ქოლგაა) მგზავრი დაიღუპა. აეროპლანი დაეცა მინდვრათ მომუშავე გლეხებს და ერთი გლეხი მოკლა.

— სამეცადინო ფრენის დროს გრანდამში (ინგლისი) ერთმანეთს დაეტაკა ორი აეროპლანი. მოკვდა 4 კაცი.

— ფრენის დროს ტოკიოში (იაპონია(აეროპლანზე აფეთქდა მატორი. 5 მგზავრი დაიღუპა.

რადიო ნავებზე.

ამ რამდენიმე ხნის წინათ, ლონდონიდან ავსტრალიისაკენ გავიდა გემი, რომლის ყველა ნავებზე რადიო არის დადგმული.

ქრონიკა

■ **გორის მასწავლებელთა დეპეშა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს.** ქალაქ გორის მასწავლებლობა სიამოვნებით აღნიშნავს ს. ს. რ. კ. მასწავლებელთა ღრმა გარდატეხას საბჭოთა სისტემის სასარგებლოთ. გორის მასწავლებლობა, ებმევა რა შეგნებულათ რევოლიუციონურ აღმშენებლობაში, აღუთქვამს მუშებს და გლეხებს, მთელი თავისი ენერგიით ხელი შეუწყოს საბჭოთა ხელისუფლების იდეალის საბოლოო გამარჯვებას.

■ **სტატისტიკის სწავლების შემოღება ტეხნიკუმებში.** საქ. სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველომ აღძრა შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე სტატისტიკის შემოღების შესახებ როგორც სავალდებულო საგნის, ტეხნიკუმის უკანასკნელ კლასებში—1924 | 25 სასწავლო წლიდან. აღძრულია აგრეთვე შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა საზაფხულო პედაგოგიურ კურსებზე, რომელიც უნდა მოეწყოს საქართველოს ყველა მაზრებში, სტატისტიკას დათმობილი ჰქონდეს განსაზღვრული რიცხვი საათებისა, როგორც ეს შარშან იყო. უმთავრესი ყურადღება მიექცევა სახალხო განათლების და სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკას.

■ **ა.—კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულად.** ა.—კ. შინავაჭრობის კომისარიატის რწმუნებულად საქართველოში დაინიშნა ამხ. გამყრელიძე.

■ **ადმინისტრატიული წესით გადასახლება.** სრ. საქ, ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა შინაგან საქ. კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად დაამტკიცა კომისია ამხ. გეგეჭკორის, ბერიას და ოკუჯავას შემადგენლობით. კომისიას ევალება ადმინისტრატიული წესით გადასახლების საქმის მოგვარება.

■ **სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა.** სამტრედიის რაიონში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა, სასოფლო მეურნეობის საქმის გასაუმჯობესებლათ.

■ **მოცვის ჩაი.** ცეკავშირმა, ხარაგოულის კოოპერატივს ლობიოს და მოცვის ჩაის დასამზადებლათ გაუხსნა სესხი.

■ **თამბაქოს ქარხანა სიღნაღში.** მიმდინარე წლის გეგმით სიღნაღის თამბაქოს ქარხანაში დამზადებული უნდა იქნას 15,840 გირვანქა თამბაქო და 3,000,000 ცალი პაპიროსი.

■ **ლენინის სახელობის ქალაქები და ქუჩები.** სრ. საქართ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის ნებადაურთველად აღკრძალულია ლენინის სახელების დარქმევა ქალაქებისა, ქუჩებისა და სხვადასხვა დაწესებულება-წარმოებებისათვის.

■ **წ.-არმიელთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფა.** სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა დაამტკიცა, წ.-არმიელების და მათი ოჯახების უზრუნველსაყოფათ წარდგენილი დადგენილება.

■ **დიდი სეტყვა აჭარაში.** 22 ივნისს ქვემო აჭარაში მოვიდა დიდი სეტყვა, რომელმაც გაანადგურა ნათესები და ხეხილი.

■ **დიდი სეტყვა და ნიაღვარი სანაინში.** 22 ივნისს სანაინში (ტფილისზე დაშორებულია 65 ვერსით) მოვიდა დიდი სეტყვა და ნიაღვარი. ნათესები სრულებით განადგურებულია. ზარალი დიდია.

■ **სამკურნალო დახმარება ინვალიდებს.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა წითელი ჯვარის საზოგადოების წინაშე ინვალიდებისათვის სამკურნალო დახმარების გასაწევათ.

■ **ნათესების არე საქართველოში.** მიწად.-მოქ. კომისარიატის ცნობით წელს საქართველოში ნათესების არე უდრის 100,000 დესეტინას.

■ **მოსავალი ყარაბახში.** ყარაბახში, წელს მოსავალი გვალვების და მოსულ სეტყვის გამო დაზარალებულია 70 პროც.

■ **ელექტროსადგური მდინარე სტორზე.** ელექტრო-სადგურის ასაგებათ მდინარე სტორზე (კახეთი) წინასწარი ხარჯთაღრიცხვით საჭიროა 1.176,000 მან. სადგური იქნება 4,000 ცხენის ძალის.

■ **გზები სამხრეთ ოსეთში.** ა—კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა სამხრეთ ოსეთში გაიყვანოს ახალი შარა-გზები და ამ მიზნით გადასდო საჭირო თანხა.

■ **ამხ. კამოს ძეგლი.** ამხ. კამოს ძეგლის დადგმა მოხდება მიმდინარე წლის დამლევს, დეკემბერში.

■ **წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად.** სრ. საქ. ცენტრ. აღმ. კომიტეტმა წინადადება მისცა განათლების კომისარიატს საჩქაროდ შეიმუშაოს სათანადო დებულება საქართველოში წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ.

■ **დახმარება ადგილობრივ გლეხკომებს.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა ძირითადი მუშაობის განსახორციელებლათ 24 ივნისს ლეჩხუმის მაზრის გლეხკომს გაუგზავნა 200 მან., რაჭისას—200 მან., ახალქალაქისას 150 მან., დუშეთისას—150 მან., თელავისას—150 მან., ახალ-სენაკისას—100 მან., ზუგდიდისას—100 მან., ბორჩალოსას—100 მან.

■ **ახალი გადასახადები.** ქ. აღმასკომმა წინადადება მისცა საფინანსო განყოფილებას შემოიღოს კანონით გათვალისწინებული შემდეგი გადასახადები: 1) შინაურ ცხოველებზე, 2) სამრეწველო ბაღებზე და ბოსტნებზე, 3) შეშის და საალმშენებლო მასალის მოჭრაზე და 4) საკურორტო გადასახადი.

■ **რაჭის მაზრის დამხმარე საზოგადოება.** 25 ივნისს. საღ. 5 ს. საზაფხულო ბაღში „არტო“-ში რაჭის მაზრის დამხმარე საზოგადოება იწვევს თბილისში მყოფ რაჭველ მოქალაქეთა კრებას.

■ **საზ. „ჩემოს“ კომერციული დირექტორი.** საზოგადოება „ჩემოს“ კომერციულ დირექტორათ დაინიშნა ამხ. გ. მგალობლიშვილი, ხოლო ფინანსთა დირექტორათ კი გ. ვაშაძე.

■ **მომავალი წლის ბიუჯეტი.** ქ. აღმასკომმა საფინანსო განყოფილებას დაავალა გამოიმუშაოს მომავალი წლის ბიუჯეტის გეგმა, მოსალოდნელ ახალი ხარჯების გათვალისწინებით.

■ **ხორცით სავაჭრო საზოგადოება.** ქ. აღმასკომმა გადასწყვიტა ჩაეწეროს წევრათ ხორცით სავაჭრო საზოგადოებაში და შეიტანოს საპაიო გადასახადი 10,000 მან.

■ **ბაკების გაცემა.** წინადადება მიეცა უქსს, გლეხკომს იჯარით გადასცეს ქალაქის სხვადასხვა კუთხეში ოთხი ბაკი.

■ **ჯანმრთელობის სახალხო კომისრების თათბირი.** დღეს, 25 ივნისს მოსკოვში შესდგება საბჭოთა რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისრების ყრილობა. საქართველოდან გაემგზავრა ამხ. კუპაიძე.

■ **რაჭის მაზრის დამხმარე კომიტეტი.** ოთხშაბათს 25 ივნისს საღამოს 5 საათზე, რაჭის მაზრის დამხმარე კომიტეტი იწვევს გაერთიანებულ კრებას რაჭის მაზრის მცხოვრებლებისას. გასარჩევია მრავალი საკითხები.

პროვინციის აღმასკომების მუშაობა.

■ **ახალი სკოლა.** აჭარის განათლების კომისარიატის დადგენილებით მომავალ სამოსწავლო წლიდან აჭარის თვითეულ მაზრაში გაიხსნება სამ-სამი სკოლა.

■ **ახალი სტიპენდიანტები,** აჭარის განათლების კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა აჭარის სახკომსაბჭოს წინაშე 15 ახალი სტიპენდიანტის აყვანის შესახებ.

■ **მეურნეობის კურსები.** სოფ. ხუცუბნის (აჭარა) სკოლასთან გაიხსნა ორ წლიანი სასოფლო-მეურნეობის პრაქტიკული კურსები.

■ **ნიხრი მეეტლებისათვის.** დამტკიცდა შემდეგი ნიხრი მეეტლებისათვის: ახალსენაკიდან ძველ სენაკამდე—(დილიჟანსი) 35 კ. სენაკიდან ნაქალაქევამდე—70 კ. სენაკიდან ბანძამდე—80 კ. ნიხრის დარღვევისათვის მეეტლები დაისჯებიან ერთი თვის იძულებითი მუშაობით ან 25 მანეთის ჯარიმით.

■ **საქონლის ჭირი.** სენაკის მაზრაში მძვინვარე საქონლის ჭირთან ბრძოლის წარმატებით საწარმოებლათ გამოცემულია სავალდებულო დადგენილება, რომლის დამრღვევნიც დაისჯებიან დაპატიმრებით ან ჯარიმის გადახდით.

შემთხვევები

■ ქურდობა. 23 ივნისს, შუადღის 12 საათზე, ტროცკის ქ. № 13, ფანჯრიდან გადასვლის საშუალებით გაქურდეს მოქ. მარიამ კანიავას ბინა. წაღებულია 100 მან. ნივთები,

■ ჯიბგირის შეპყრობა, 21 ივნისს, დილის 10 საათზე ჯარისკაცთა ბაზარში გერმან ნატროშვილს ანნა აგროლლიმ ჯიბიდან ამოაცალა საფულე 30 მანეთით. ჯიბგირი ქალი შეიპყრეს.

■ გვამის პოვნა. 22 ივნისს, დილის 7 საათზე მოქ. რაიზერმა მტკვარში ბანაობის დროს ნავთლუღის ბაღის ახლოს იპოვა გვამი ახალგაზრდა 16 წლის ქალიშვილის, გრძელი შავი თმით.

■ ელექტრონის მავთულის მსხვერპლი. 20 ივნისს, საღამოს 9 საათზე კობის ქ. № 13 სახლის პირდაპირ გაწყდა ელექტრონის მავთული და შემოეხვა ბავშვს ივანე პაპაიანცს, რომელიც საავადმყოფომდი გზაში გარდაიცვალა.

■ გვამის პოვნა ფუნიკულიორზე, 21 ივნისს, დილის 8 საათზე ფუნიკულიორზე მინდორში ჩაღრმავებულ ადგილას აღმოჩენილი იქნა ქალის გვამი, მოკლული დანით. ვინაობა ჯერჯერობით გამოურკვეველია. ძიება სწარმოებს.

■ ქალის გვამი. 22 ივნისს, დილის 6 საათზე ნავთლუღში საბჭოთა ბაღის ბოლოში, მტკვრის პირას იპოვეს დამხრჩვალი ქალის გვამი, რომელიც გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში. ვინაობა გამოურკვეველია.

■ დაჭრა. 21 ივნისს, ღამის 10 საათზე თვითნების ქ. № 45, მოქ. სიმონ დოლიძემ პურის დანით დასჭრა მოქ. ივანე ცაბაძე. დამჭრელი შეიპყრეს. დაჭრილი გადაგზავნილი იქნა რესპ. მთ. საავადმყოფოში.

■ შურისძიების ნიადაგზე. 18 ივნისს, ღამით სოფ. დიდ ლილოში (გარე-კახეთის რაიონი) მცხოვ. ნინო ფუხაშვილისამ შურისძიების ნიადაგზე მძიმეთ დასჭრა კისერში და თავში ხანჯლით, ამავე სოფლის მცხოვრ. ილია [illegible]

მუშათა ცხოვრება

მადლობა კარგ ექიმებს

უღრმესი მადლობას უცხადებ საქართველოს რესპ. მთავარ საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილების გამგეს პროფ. მუხაძეს და მის ექიმებს განსაკუთრებით ექ. ახმეტელს და ექ. ხაზარაძეს. მთელი მედპერსონალი ამ განყოფილებისა, მიუხედავად ავადმყოფების საგრძნობი რიცხვისა, აუარებელ ოპერაციებისა, ყოველთვის თავის დროზე ასრულებენ თავის მოვალეობას და ავადმყოფისადმი მზად არიან მთელი თავისი ცოდნა და ენერგია მოახმარონ მშრომელ კლასს, რომლითაც ეს საავადმყოფო ყოველთვის სავსეა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ექიმების ფაქიზი, დინჯი და ზრდილობიანი მოპყრობა ავადმყოფისადმი, ისინი, მიუხედავათ დიდი შრომისა, დაუზარავათ აკეთებენ ჩამოვლებს, დღეში სამჯერ და მეტ-ჯერ, დაწვრილებით ეკითხებიან ავადმყოფებს, არიგებენ მათ; სნეულებისაგან დატანჯული ავადმყოფი ასეთი მოპყრობით თითქმის ნახევრად იკურნება გულდაწყვეტილი ვსტოვებ მე ამ მშვენიერ ქირურგიულ განყოფილებას, როდესაც განვიკურნე. მე მოვალეთ ვსთვლი ჩემ თავს ულრმესი გულითადი მადლობა გამოუცხადო მიხეილის საავადმყოფოს ქირურგ. განყოფილებას გამგეს პროფეს. მუხაძეს და ექ. ახმეტელს, ექ. ხაზარაძეს და სხვა მედპერსონალს.

ხელოსანი ი. კაპიაშვილი.

როგორ მუშაობენ ჩვენი ადგილკომები

(კომუნალურ მეურნეობის გაერთიანებულ ადგილკომში).

აღნიშნული ადგილკომი აერთებს კომუნალურ განყოფილების და კეთილ მომწყობ ქვეგანყოფილების მუშა-მოსამსახურეებს რიცხვით 303 კაცს. ამათგან ქართველია 121, სომეხი 133, რუსი 20 და დანარჩენები 29.

ა. წ. თებერვლამდე აქ აღსანიშნავი იყო სხვადასხვა უთანხმოებანი და საერთოდ დაჭიმული მდგომარეობა ადგილკომსა და ადმინისტრაციას შორის. მუშათა შესახებ ბევრ საკითხების გარჩევის დროს განხეთქილება ხდებოდა შემფ.-საკონფ. კომისიის მუშათა ფრაქციაშიც.

თებერვლიდან მუშაობას მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დაეტყო. ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ამჟამად შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის ყველა საკითხები წინასწარ ირჩევა ერთად ადგილკომისა და მუშათა ფრაქციის მიერ, რომლებიც ახლა ერთსულოვნათ მოქმედებენ.

თებერვლიდან მაისის გასვლამდე ადგილკომს ჰქონია 16 სხდომა, რომლებზედაც გაურჩევია 55 საკითხი; საერთო კრებები მომხდარა 5-ჯერ, მიტინგები—6-ჯერ.

ადგილკომთან მოწყობილია „სპარტაკი“-ს კოლექტივი 40 კაცისაგან შემდგარი. როგორც ადგილკომი, ისე „სპარტაკი“-ს კოლექტივიც სცემენ კედლის გაზეთებს.

ადგილკომთან მოწყობილია დრამატიული წრეებიც: ქართული, სომხური და რუსული.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ყველა აქამდე არსებული დეფექტები გაუქმებულია და ადგილკომის მუშაობაც ამჟამად უფრო ნაყოფიერი არის.

ინფ. მიშა.

ჩვენც მოგვხედეთ

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

მივიწყებული და მიტოვებული იყო ბევრი განაპირა უბნები და ქუჩები თბილისის, სადაც სიბნელე და უგზოუკვალობა იწვევდა მშრომელთა უწუგეშო მდგომარეობას.

საქართველოს გასაბჭოების დღიდან ყველას იმედი მიეცა მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კერძოთ თბილისის **ერთობის უბანი** მოუკირწყლავი ბნელი ქუჩებით ჩავარდნილი უნუგეშო მდგომარეობაში მოელოდა მშრომელთა ხელისუფლებიდან ხსნას.

არც მოვსტყუვდით, როგორც ყველგან ამ უბანშიც დაიწყო საბჭოთა მშენებლობა. გაყვანილ იქნა სინათლე, მოკირწყლულია ამ უბნის შრომის, თამარშენის და მნათობის ქუჩები გაყვანილია წყალსადენი.

გალამაზებულ და გამშვენიერებულ ერთობის უბანს ელფერს უკარგავს და თითქმის უვარგისად ხდის ერთი გარემოება. **ეს არის კანალიზაციის უქონლობა.** აუცილებლათ საჭიროა მიექცეს ყურადღება ამ გარემოებას აღმასკომის მიერ და ახლო მომავალში ამ უბანში გაყვანილ იქნას „კანალიზაცია“, თორემ შეუძლებელია ცხოვრება მეტადრე ზაფხულობით ამ ბალნარ უბანში აყროლებულ და აშმორებულ სუნის გამო. ამ უბანში სცხოვრობენ უმრავლესობა მუშებისა, რომელთაც არ აქვთ საშუალება სააგარაკოთ გაგზავნონ ცოლშვილი.

მუშკორი ათანასე განიძე.

პოლიტ-განათლების მე-3 სკოლა

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის პოლიტ-განათლების სკოლაში ამა მიმდინარე სამოსწავლო წელს მეცადინეობდა სულ 25 მუშა, რომელნიც ეკუთვნოდნენ შემდეგ სამუშაო დარგებს: 1-ლი სტამბა, „ზარია ვოსტოკას“ სტამბა, მე-5 სტამბა. სამხედრო კომისარიარიატის სტამბა, რიცხვით 14 მუშა. ამხ. ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკიდან—10 მუშა, ფოსტა-ტელეგრაფის კავშირიდან 1 მუშა. ამ 25 მუშიდან სწავლა დაამთავრა 17 მუშამ. ამათში ერთი ქალია. 14 მუშა იგზავნება რაიონული პარტსკოლაში, ხოლო 3 მუშა გაიგზავნება საბჭოთა პარსკოლაში. 6 კაცი და 2 ქალი დარჩნენ, რადგან გამოცდის დროს სუსტები აღმოჩნდნენ, რის მიზეზიც იყო ის, რომ ბევრს დრო ხელს არ უწყობდა მუდმივად ეარნათ სკოლაში.

უნდა ავღნიშნო, რომ ზოგიერთი მუშები და განსაკუთრებით ქალები დიდ გულგრილობას იჩენენ სწავლა-ცოდნის შეძენაში და ეს კი არ მიეტევება აღნიშნულ ამხანაგებს. ყოველი თავისუფალი დრო ძვირფასია ჩვენთვის და ეს დრო უნდა მოვახმაროთ სწავლა-ცოდნის შეძენის საქმეს, ვინაიდან სწავლით შეიარაღებული მუშები ესაჭიროება მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას. ამისათვის უსურვებ ამხ. მუშებს, როგორც მამაკაცებს, ისე ქალებსაც, დაუზარლად ჩაებნენ პოლიტგანათლების სკოლებში და შეიძინონ პოლიტიკური ცოდნა, თუ სურთ, რომ იყვნენ ღირსეული მუშაკები საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკისა.

დიდი მადლობის ღირსია ამხ. ქაცარავა, რომელიც ითვლებოდა პოლიტგანათლების მე-3 სკოლის მასწავლებლად, პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას და ყოველთვის ამხანაგური განწყობილებით იყო მუშებთან.

მუშკორი პ. ახალკაცი.

ჩაქვის სახელმწიფო მამულში

მაისის ბოლო რიცხვებში აქ გვეწვია ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ გამოგზავნილი ლექტორი—ექიმი ლომაური, რომელმაც წაიკითხა ლექციები საზოგადო და პროფესიონალურ სნეულებათა შესახებ. მიღებულ რეზოლიუციაში ადგილობრივი კულტსექცია და კომუჯრედი დიდ მადლობას უძღვნიან ჯან. სახ. კომისარიატს ასეთი სახელმწიფოებრივი ხასიათის ღონისძიების მიღების გამო, მუშათა წრეში სამკურნალო და ჰიგიენის ცნებათა გასავრცელებლად.

აღნიშნავენ აგრეთვე ლექციათა საინტერესო შინაარს გარდა, თვით ფორმას, რომლითაც ის იქნა გადმოცემული. ექიმი ლომაური რთულ სამეცნიერო აზრებს უბრალო „მუშურ“ ენაში აყალიბებდა. მან მაგალითად ერთხელაც არ იხმარა ისეთი „საშიში“ სიტყვები, როგორც არის „ემბრიოლოგია“, „გინეკოლოგია“, „კოხის ჩხირები“ და სხვა, რეზოლიუცია პირობას იძლევა ეცადოს გაატაროს ცხოვრებაში ყველა ის სასარგებლო დარიგება, რომელიც მოისმინეს მუშებმა ექ. ლომაურისაგან.

ინფორ. ნ.

მუშათა ქრონიკა

— **ვსცემთ კედლის გაზეთს.** თბილისის საქონლის სადგურის მტვირთველ მუშების ადგილკომი ახლო მომავალში გამოსცემს კედლის გაზეთს.

— **წვევამდელთა ექსკურსია ბათომში.** რკინისგზის სამხედრო წვევამდელებმა 15—16 ივნისს ექსკურსია მოაწყვეს ბათომში, სადაც დაათვალიერეს ყველა მნიშვნელოვანი ადგილები. ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო 45 მუშამ.

მუშების წერილები მიზანს აღწევენ

შესახებ წერილისა, რომელიც მოთავსებული იყო „კომუნისტი“-ს მე-104 ნომერში სათაურით: **„უსუფთაობა საშიშია“** თბილის. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ მომართვით ამ —2 ივნისიდან მე-1796 ნომრით გვაცნობა, რომ სახლის № 19 ქუთაისის ქუჩაზე პატრონს ჩოდნოვს **ჩამოერთვა ხელწერილი და ორჯერ მიეცა გაფრთხილება სახლი და ეზო სუფთათ იქონიოს.**

ინფორმ. ვარდოსანიძე.

მუშის ლექსიკონი

(უცხო სიტყვათა ახსნა).

ანტროპოლოგია—(ბერძნული სიტყვაა) არის მეცნიერება, რომელიც იკვლევს, სწავლობს ადამიანის სულიერ-ხორციელ, ან ფიზიოლოგიურ და პსიქოლოგიური განვითარების საკითხს. მას აინტერესებს ის, თუ რანაირი ცვლილებები გამოიარა ადამიანმა დასაბამიდან თავის სულიერ, ზნეობრივ და ხორციელ არსებაში.

ანტროპოლოგს—უწოდებენ ისეთ მეცნიერს, რომელიც მთელ თავის ცოდნა-გამოცდილებას ახმარებს ადამიანის სულიერ-ხორციელ ბუნების შესწავლის საქმეს.

გრანდიოზული—(ფრანგული სიტყვაა)—დიადი, უზარმაზარი, საუცხოო, მომხიბლველი, დიდებული.

ტრადიცია—(ლათინური სიტყვაა) ზეპირი გადმოცემა, ყველაფერი ის, რაც ზნე-ჩვეულებათა და ადათ-წესების სახით გადადის ერთ შთამამავლობიდან მეორისთვის; ასეთი მაგ. რელეგიური და სხვა ცერემონიები.

ვაკხანალია—(ლათინ. სიტყვაა) ძველად ნიშნავდა ვაკხის (ღვთობის და გარყვნილების ღმერთის) დღესასწაულს; ეხლა კი ეს სიტყვა ნიშნავს საზოგადოდ უთავბოლო, ყოველივე წესრიგს, სიფაქიზეს მოშორებულ და ყოველმხრივ წრე გადასულ, მოურიდებელ საქციელს, ღვთობა-გარყვნილებას და სხ.

ვარიაცია—(ლათ. სიტყვაა) ოდნავი შეცვლა, სხვადასხვაობა, მუსიკაში ჯან სიმღერაში კი ნიშნავს ხმათა გადახრგადმოხრას, კილოთა სხვაობას.

ხელოვნება

წარმოდგენა ნაძალადევის თეატრში

21 ივნისს, ნაძალადევის თეატრში ადგილობრივ დასმა წარმოადგინა „ბრძოლა არსებობისათვის“.

წარმოდგენა უნდა დაწყებულიყო 8 ნახ. ს., მაგრამ ფარდის ახდამ ერთი საათით დაიგვიანა. ეს ცუდი ზნე ერთხელ და სამუდამოთ უნდა აღმოიფხვრას ნაძალადევის თეატრში.

რევაზის როლს ასრულებდა სუმბულაშვილი. მას ეტყობოდა შესაფერი მომზადება, მაგრამ მისი სუსტი ხმა ძლივს ისმოდა დარბაზის პირველ რიგებშიც, ამიტომ მაყურებლები ხშირათ გაიძახოდენ: „ხმა მაღლა“.

მოსამსახურე მაროს როლის შემსრულებელი შეუფერებელი გამოდგა. მთელი მისი სმენა მიქცეული იყო სუფლიორისაკენ და თმის შეუწყვეტელი წეწვით უკმაყოფილებას იწვევდა საზოგადოებაში. ამ ქალს პირველათ ვხედავთ სერიოზულ როლში და მისი ასე მოუმზადებლათ სცენაზე გამოშვება საზოგადოების აბუჩათ აგდებაა. ამ მხრივ რეჟისორს მეტი სიფხიზლე და შორსმჭვრეტელობა მართებს.

კარგი იყო ყმის სანდროს როლში—თოდაძე თავისი ცოცხალი თამაშით. ეტყობა, რომ ამ ახალგაზრდა სცენის მოყვარეს აქვს ნიჭი. დამაკმაყოფილებელი იყო მოურავ გიორგის როლში აზრუმელაშვილი, მაგრამ გრიმი შეუფერებელი ჰქონდა. პიესის მიხედვით გიორგი არის ჭაღარა, მას კი ცოტაოდენი თეთრიც არ ერია. დანარჩენები პიესის ჩატარებას ხელს უწყობდენ.

საზოგადოება საკმაოდ დაესწრო.

ონ. რუხაძე.

■ **საღამო-ხეირნობა.** დღეს ოთხშაბათს 25 ივნისს ბაღ „არტოში“ გაიმართება დიდი საღამო-ხეირნობა საქველმოქმედო მიზნით.

ლენინის სახელობის ცენტრ. მუშ. კლუბში. ხუთშაბათს 26 ივნისს სრულიად საქართ. კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირი და წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომი უმართავს მუშა-მსახიობ გრიგოლ ანაშვილს 20 წ. ხალხურ სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავ საღამოს. წარმოდგენილი იქნება „მსხვერპლი“ იოს. გედევანიშვილისა. საქუას როლს ითამაშებს გ. ანაშვილი. პიესას ხელმძღვანელობს რესპუბლიკის სახალხო მსახიობი ნიკო გოცირიძე.

პროვინციაში

ზემო სვანეთი

ზემო-სვანეთი ძლიერ უმწეო მდგომარეობაში იმყოფება ყოველ მხრივ. ხალხი ძალზედ ჩამორჩენილია კულტურულათ და ეკონომიურათ, არ აქვს სამოქმედო ასპარეზი, რომ გააუმჯობესოს თავისი ცხოვრება და ამოუდგეს გვერდში სხვა კუთხეებს. სვანი გლეხი თავის ოჯახში მუშაობს წელიწადში ოთხი-ხუთი თვე დანარჩენ დროს ის ატარებს მუშაობაში სხვაგან, საიდანაც მოაქვს ოჯახისათვის საჭირო საგნები. ვისაც ეს არ შეუძლია, ის ნახევარ დროს ატარებს სრულიად უქმათ. ასეთები მთელს სვანეთში ბევრი მოიპოვება. უსაქმობას ყოველთვის შედეგათ მოსდევს ხალხის გახრწნა და ყოველგვარი ბოროტება. ეს ხალხი ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულია და შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს სახელმწიფოს, თუ კი მას უკანასკნელი გამოიყვანს უკულტურო მდგომარეობიდან და შექმნის ისეთ პირობებს სვანეთში, რომ ყოველგვარი ბოროტება მოისპოს და ხალხმა შეგნებულათ იბრძოლოს ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

სვანეთის ჩამორჩენილობა და უკულტურობა გამომდინარეობს კარჩაკეტილობიდან. სვანეთს არ აქვს გზა. მხოლოდ სამი-ოთხი თვის განმავლობაში დიდი ვაივაგლახით წარმოებს მიმოსვლა ვიწრო ბილიკებზე, დანარჩენი რვა თვე სვანეთი მოწყვეტილია ყველაფერს.

სვანეთის ბუნების სიმშვენიერეს აღტაცებაში მოყავს ყველა მოგზაური ტურისტები ბუნების სილამაზესთან ერთათ ახასიათებს მას ბუნებრივი სიმდიდრე. აქ მოიპოვება ყოველნაირი მინერალური წყლები, სხვადასხვა მადნეულობა, ტყეები. ყველაფერი ეს უსარგებლოა დღეს-დღეობით და ასე უსარგებლო იქნება მომავალშიაც, თუ არ გავიყვანთ სვანეთში გზა-ტკეცილს.

მართალია, სახელმწიფო ჯერ კიდევ ძალიან ღარიბია, მაგრამ ეს საქმე მაინც პირველ რიგში უნდა იქნას დაყენებული. მთავრობა ცდილობს სვანეთის ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და ამისათვის ხარჯებს არ ერიდება, მაგრამ სვანეთის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ არის მხოლოდ ერთი საშუალება—ეს არის გზა-ტკეცილის გაყვანა. თუ გზა არ გავიყვანეთ, ყველა ხარჯები და ღონისძიებანი უნაყოფოთ ჩაივლის. ამ გზის გაყვანაში სვანეთის ხალხი მიიღებს მხურვალე მონაწილეობას.

ს. ხვანი.

ხ ე ვ ი (დუშეთის მაზრა)

ამა წლის 8 ივნისს ს. ყაზბეგში შესდგა ყაზბეგის ახლო-მახლო მდებარე სოფლების გაერთიანებული კრება. დაესწრო 150 კაცამდე. კრებას დაესწრო სამაზრო პარტკომის მდივანი ამხ. ი. ბრეგაძე. დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები: 1. საფონდო მთების გადაცემა გლეხთა კომიტეტებზე, 2. მოხსენება ეროვნულ საკითხზე და 3. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე.

პირველ საკითხზე ამხ. ბრეგაძე უხსნის კრებას საფონდო მთების დიდ შემოსავლიანობას და შემდეგ აძლევს შეკითხვას, სურთ თუ არა მათ მიერ არჩეულ გლეხკომებს გადასცენ საფონდო მთები. კრება ადგენს—გადაეცეს საფონდო მთები გლეხკომებს.

ნაციონალურ საკითხზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ი. ბრეგაძემ და ნათლათ დაუხატა კრებას ეროვნული საკითხის მდგომარეობა მენშევიკების დროს და ახლა. ამხ. ბრეგაძემ აღნიშნა მენშევიკების დროის ნაციონალური ომები, რომელსაც აწარმოებდენ სხვადასხვა ერებთან, როგორიც იყვნენ ოსები, სომხები და სხვა. შემდეგ მომხსენებელი შეეხო ამ საკითხის დადებითად გადაჭრას კომუნისტური პარტიის მიერ, რის შედეგიც არის მთლიანი ს. ს. რ. კავშირი, რომელიც გამტკიცებულ-გამაგრებულია, როგორც პოლიტიკურათ, ისე ეკონომიურათ.

კრებას გამოაქვს რეზოლიუცია, სადაც ერთხმათ ესალმებიან კომუნისტურ პარტიას და მის მიერ ეროვნულ საკითხის სწორად გადაჭრას.

საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენებას აკეთებს იგივე. შეეხო ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, გერმანიის და სხვა სახელმწიფოების პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას, აღნიშნა თუ რანაირ კრიზისს განიცდის ბურჟუაზიული მეურნეობა. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე იმასაც, თუ რანაირია ჩვენი სავაჭრო დამოკიდებულება მათთან და ან რამდენათ ესაჭიროებათ ჩვენი ნედლი მასალა მათ.

ამხ. ბრეგაძემ ნათლათ დაუხატა კრებას, თუ რამდენათ ანვითარებენ სამხედრო ტეხნიკას და მით ემზადებიან მსოფლიო ომისათვის. მაგრამ მსოფლიო ომს არ შეიძლება არ მოჰყვეს რევოლიუცია, ამბობს მომხსენებელი, რადგანაც საამისოთ მუშათა კლასი მომზადებულიაო.

ამხ. ბრეგაძის მოხსენების გამო იქნა გამოტანილი შესაფერი რეზოლიუცია.

უნდა ითქვას, რომ აქ ასეთი მოხსენებები დიდიხანია არ ყოფილა, რადგანაც ყაზბეგი და მისი რაიონი ძლიერ დაშორებულია მაზრას და ესეც არ იყოს, დაწყებული შემოდგომიდან გაზაფხულის მიწურულამდე, თითქმის 7—8 თვე შეკრულია დიდი თოვლების გამო და მისვლა-მოსვლა შეჩერებულია. სასურველია რომ ზაფხულის პერიოდში მაინც ხშირად ჩამოდიოდნენ მაზრიდან და გვიკეთებდნენ ასეთ მოხსენებებს.

ალ. იათაშვილი.

ქ. ხ ო ნ ი

ხონელების დიდი ხნის ოცნება—სახალხო სახლის აშენების შესახებ—გადაწყდა საქმეთ იქცეს და არჩეულ იქნა საამშენებლო კომისია, რომელმაც მოიწვია:

1) მუშა-მოსამსახურეთა და 2) ვაჭარ-ხელოსანთა კრებები და 3) ხალხის მიტინგი. პირველმა კრებამ დაადგინა გადასდოს ყოველთვიურად, სანამ სახალხო სახლი აშენდებოდეს, 5 პროც. თვიური ჯამაგირიდან, მეორემ აირჩია კომისია ყოველთვიურად თავიანთ შორის ფულის გასაწერად და ხალხის მიტინგმა კი გადასწყვიტა: ა) დანგრეულ იქნას მაცხოვრის ეკლესია და მოხმარდეს სახალხო სახლის შენობას, ბ) ყოველი მიწის მუშაობა, რიყის ქვის მოტანა, სილის და აგურის მოზიდვა მიიღოს თავისთავზე უფასოთ.

ამას გარდა სხვა ქალაქებში არჩეულ იქნენ კომისიები, რომელთაც გაეგზავნა საკვიტანციო წიგნაკები ფულის შესაკრებად. ჯერ-ჯერობით შემოწირულება მოგვიდა ქიათურიდან, ფოთიდან და ბათომიდან.

როგორც გვესმის, თბილისის კომისია დიდ ენერგიას იჩენს და იმედია მალე დავგვანახვებს ამ ენერგიის ნაყოფს. ამ დროით კი საამშენებლო კომისიის თავმჯდომარიის ამხ. ვ. ნადარეიშვილის თბილისში ყოფნის დროს ზოგიერთმა იქ დაბინავებულმა ხონელმა გადასცეს მას ხონის სახალხო სახლისთვის ხუთი ჩერვონეცი.

შემოსავალ-გასავლის მთელ ანგარიშს მალე გამოვაქვეყნებთ. ჯერ-ჯერობით კი აღვნიშნავთ ხონის გარეშე მოსულს ფულს *).

1) ცენტრალური მთავრობის დახმარება	—1.500 მან.
2) ქიათურის კომისიის გამოგზავნილი	— 530 მან.
3) ფოთის კომისიის გამოგზავნილი	— 56—95 კ.
4) სხვა და სხვა ალაგებიდან	— 122 მან.
5) ბათომიდან 34 ლირა და 225 მან.	
ჯამი	34 ლირა და 2.433 მ. 95 კ.

ხონის სახალხო სახლის საამშენებლო კომისია დიდ მადლობას უძღვნის ფულის შემკრებ კომისიებს და იმ დაწესებულებებს და მოქალაქეთ, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილის შეტანა ხონის სახალხო სახლის აშენებაში. შემომწირველთა სიას ამასთანავე გიგზავნით **).

აქვე აღვნიშნავთ სხვა და სხვა ქალაქებში მყოფ კომისიების და შემომწირველთა საყურადღებოდ, რომ მესამედი შენობისა მზად არის და ყოველივე ზომა მიღებულია მასალების შესაძენად შენობის დასამთავრებლად.

ხონის სახალხო სახლის საამშენებლო კომისია.

---

*) სტერლინგები, შილინგები და მილიონები გადაყვანილია მანეთებზე.

**) შემომწირველთა სიას ადგილის უქონლობის გამო ვერ ვათავსებთ.

რედ.

ქ. ახალციხე

12 ივნისს ჩვენს მაზრას ესტუმრენ ამ.-კავკ. აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. აღამალი-ოღლი, ს. ს. ს. რ., იუსტიციის კომისარი ამხ. ვარძიელი და სხვები. მათ დაიარეს აწყურის, ქვაბლიანის და სხვა რაიონების ზოგიერთი სოფლები და გაეცნენ აქაურ გლეხთა ცხოვრებას.

13 ივნისს, საღამოს 9 საათზე, როდესაც ძვირფასი სტუმრები სოფლებიდან ახალციხეში ჩამოვიდენ, ადგილობრივ სათეატრო დარბაზში გაიმართა საქალაქო კრება, რომელსაც დაესწრო პროფკავშირთა, კომპარტიის და ახ. კომკავშირის წევრები და აგრეთვე დიდძალი მშრომელი საზოგადოება.

ყრილობა გახსნა ადგ. პარტკომის მდივანმა ამხ. ზოგერაძემ მშვენიერ შინაარსიანი მისასალმებელ სიტყვით, რასაც დამსწრე საზოგადოება მხურვალე ტაშით მიეგება. ორკესტრმა შეასრულა ინტერნაციონალი.

შემდეგ წამოდგა მცხოვანი მოხუცი ამხ. აღამალი, მიესალმა საზოგადოებას და ილაპარაკა ამ.-კავკასიის რესპუბლიკათა კავშირის შესახებ. მან ნათლად და მკაფიოდ დაასურათა ამ კავშირის დიადი მნიშვნელობა ამიერ-კავკ. ხალხთა ცხოვრებაში, რაიც ბუნებრივათ გამოწვეულია მათი საერთო ეკონომიურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ინტერესებით. შეეხო რა კერძოდ ჩვენი მაზრის ცხოვრებას, ამხ. აღამალიმ, შავბნელ წარსულის დროს ეროვნულ შუღლით გამოწვეულ მაგალითების მოყვანით, ნათლად დაასურათა, რომ მხოლოთ და მხოლოთ საბჭოთა ხელისუფლების დროს და კომინტერნის დროშის ქვეშ შეიძლება ხალხთა აღორძინება და მშვიდობიანი კულტურული მუშაობა.

ამხ. ვარძიელმა გააკეთა მოხსენება საბჭ. რესპუბლიკების კავშირის საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ. მოხსენება იყო მარტივი, მხატვრული და ყველასათვის გასაგები, რამაც საზოგადოებაზე მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

კრებამ სამ საათს გასტანა. გამოტანილ იქნა შესაფერისი რეზოლიუცია. დარბაზში ასტყდა ხანგრძლივი ტაში და ორკესტრმა შეასრულა ინტერნაციონალი.

მეორე დღეს პატივცემული სტუმრები ახალქალაქისაკენ გაემგზავრენ და 15 ივნისს საღამოთი იქიდან ისევ ახალციხეში ჩამოვიდენ. ბევრი მთხოვნელები მიიღეს და ბევრ საწყალსა და ღარიბს აღმოუჩინეს დახმარება.

16 ივნისს სასეირნო ბაღთან შეგროვდენ მაზრის სოფლებიდან ჩამოსული გლეხთა წარმომადგენლები, რომლებსაც ამხ. აღამალი ესაუბრა მიწის საკითხის შესახებ. ამის შემდეგ იგი ესტუმრა ახალგ. კომკავშირის ადგ. ორგანიზაციის კლუბს და სიტყვა წარმოსთქვა. კლუბის ეზოში „სპარტაკმა“ ორკესტრის ხმებზე შეასრულა სხვადასხვა თამაშ-ვარჯიშობა, რაიც მოხდენილად ჩატარდა.

ბ. ბეთანელი.

პრიუტის თემი (მანგლისის რაიონი)

კვირას, 15 ივნისს სოფ. პრიუტს ეწვია შეფის კომისია, თბილისის ცეცხლის მქრობელი რაზმის წარმომადგენლები. ადგილობრივ საკრებულო დარბაზში მოიწვიეს საზოგადო კრება დღის 3 საათზე. ხალხი ბლომად დაესწრო, როგორც ადგილობრივი ისე ახლო მდებარე სოფლებიდან. კომისიის წევრები აცნობენ ხალხს რესპუბლიკების კავშირის თანამედროვე პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას, აგრეთვე ვრცლად ახასიათებენ გლეხთა მომგებიან სესხის მნიშვნელობას. ხალხი აღფრთოვანებით ეგებება და სურვილს გამოსთქვამენ ყველამ შეიძინოს გლეხთა მომგებიანი სესხის ობლიგაციები. ხალხი ზოგიერთს შეკითხვებს აძლევს მომხსენებლებს, რაზედაც ღებულობენ დამაკმაყოფილებელ პასუხს. კრების დასრულების შემდეგ საღამოს 7 საათზე ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნა კომედია ორი მოქმედებით. შემდეგ წაკითხული იქნა სხვადასხვა ლექსები ქართულ და რუსულ ენებზე. წარმოდგენა სასურველად ჩატარდა და ხალხიც ძლიერ კმაყოფილი დაბრუნდა შინ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი სცენა ძლიერ ღარიბია დეკორაციის მხრივ, რაც აფერხებს ხელოვნების საქმეს. ჯერჯერობით ჩვენს თეატრს არავითარი შემოსავალი წყარო არა აქვს. წარმოდგენებს ვსდგამთ გლეხებისათვის სრულიად უფასოდ რადგანაც ჩვენი მიზანია ის, რომ აქაურ გლეხობას გავაცნოთ თეატრის მნიშვნელობა და მომავლისათვის დავაკავშიროთ გლეხობა თეატრთან. ჩვენმა შეფმა რამოდენიმეჯერ აღგვითქვა დახმარება თეატრის გაფართოების საქმეში. დიდ იმედს გამოსთქვამს გლეხობა რომ შეფი დაპირებას შეასრულებს.

იაკობ ღლონტი.

ს. მუხურა (შორაპნის მაზრა)

ს. მუხურა მთა-გორიანი სოფელია, ყანები ფერდობ ადგილებზე ითესება, გვალვას ვერ იტანს და, რადგანაც წელს დიდი გვალვაა, მოსავალს ნაკლები პირი უჩანს. კარგია მხოლოდ ვენახები. ცოტა წამოწვიმა 10 და 12 ივნისს, მაგრამ მესამე დღის შემდეგ ისე გამოახმო ქარ-სიცხემ მიწა, თითქოს წელს წვეთიც არ დასცემოდეს. ერთ უბედურებას—გვალვას ზედ დაერთო მეორე უბედურებაც: ს. მუხურაში გაჩნდა საქონლის ჭირი და ერთი კვირის განმავლობაში იმსხვერპლა 7—8 სული ხარი და ძროხა. საჭიროა გამოიგზავნოს ვეითალი, რათა დროზე იქნას საჭირო ზომები მიღებული, თორემ ისედაც ღარიბ გლეხობას მსხვილფეხა საქონელიც თუ ამოეჟლიტა, სულ დაიღუპება. საჭიროა ამას დროზე მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

არკადი ბოჭორიშვილი.

პროვინციის ქრონიკა

წარმოდგენა. ქ. ხონში

კორ. ამხ. მ. ივანდიდელი გვწერს, რომ ქ. ხონში 15 ივნისს მსახიობ შ. ჯაფარიძის რეჟისორობით წარმოდგენილ იქნა მელოდრამა „დამნაშავე“. მონაწილეობდნენ სცენის მოყვარენი: შ. ჯაფარიძე, ბ. ჯაიანი, დ. ქავჭანიძე, ა. იოსელიანი, კატ. ჩინჩალაძე, ბ. მჭედლიძე და სხვები. წარმოდგენა კარგად ჩატარდა. დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა.

მიტინგი სოფ. თორტიზაში

(გორის მაზრა)

კორ. ამხ. „პშნის პირელი“ გვატყობინებს, რომ 5 ივნისს „ამაღლების“ დღეს, აქ გაიმართა დიდი მიტინგი. სარწმუნოების, მღვდლების და საეკლესიო დღესასწაულების წინააღმდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ამხ. ეპ. სიამაშვილმა, ა. ცაბაძემ და ქალ. გან. გამგემ დანელიამ. მათ მოუწოდეს ხალხს საეკლესიო დღეობების მაგივრად იდღესასწაულონ რევ. დღესასწაულები. გლეხობა აღტაცებით შეხვდა მათ სიტყვებს.

სეტყვა ხრესილის რაიონში

(ქუთაისის მაზრა)

კორ. ამხ. ი. თვალთვაძე იუწყება, რომ 9 ივნისს იქ მოსულა საშინელი, ნიგვზის კაკლის ოდენა სეტყვა, დიდი ზიანი მიუყენებია ვენახებისა და ხალხებისათვის, დაუხოცავს რამოდენიმე წვრილფეხა საქონელი და შინაური ფრინველები.

პროვინციის ფოსტა

ქ. ზუგდიდი. ამხ. „იახშს“. თქვენი კორესპონდენცია ხეთის 9 წლედის შესახებ გადაეგზავნა სათანადო დაწესებულებას—საქმის გამოსარკვევად და მავნე პირების ასალაგმავად.

ქ. სურამი. ამხ. „კომსომოლს“ წვრილმანია. არ წავა.

ამხ. „ყოფილს“. „ურჩევი ფაქტის წინაშე“ ძალიან დიდი წერილია, ამასთან ზოგადი ხასიათის. წერეთ მოკლედ და კონკრეტულ საკითხებზე.

ქ. გორი. ამხ. „კოშკელს“. საბავშვო სახლის სა სარგებლოდ მაგართულ საღამოს შესახებ უკვე გვქონდა მოთავსებული ქრონიკა გუშინდელ №-ში საკმარისია.

ს. ხაში. ვასო გოგნიაშვილს. საქმე უნდა გამოიძიოს თბილისის განათლების განყოფილებამ, რომლის დასკვნას მოვათავსებთ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის [illegible] წინადადებას აძლევს ამხ. დოლიძეს (მესამე რაიონის შრომის ინსპექტორი) [illegible] დღის ვადაში გამოცხადდეს რაიკომის მდივანთან.

ქალაქის რაიკომის მდივნის მაგიერ: აკოპოვი

— **არსენალის რაიკომის ქალთა განყოფილება** იტყობინება, რომ ოთხშაბათს 25 ივნისს, საღამოს 5 ნახ. საათზე, წითელარმიელთა კლუბის შენობაში (ყოფ. „Вечерние зори“) შესდგება **დელეგატ ქალთა კრება.**

ყველა დელეგატ ქალების, ქალთა ორგანიზატორების და დიასახლისების დასწრება სავალდებულოა.

მდივანი მასხულია.

პროფესიული

— **ხუთშაბათს, 26 ივნისს,** საღამოს 7 საათზე, **„ზარია ვოსტოკა“-ს რედაქციის** შენობაში შესდგება იმ **სამხკორების, მუშკორების და კორესპონდენტების კრება,** რომლებიც მუშაობენ ქალაქის რაიონის დაწესებულებებსა და წარმოებებში. **დღის** წესრიგი: 1. მუშკორების რაიონულ ბიუროს მოწყობის შესახებ. 2. ბიუროს **არჩევნები.** სავალდებულოა თბილისის ყველა გაზეთების სამხკორების, მუშკორების და კორესპონდენტების დასწრება.

ქალაქის რაიონის მდივნის მაგიერი: აკოპოვი

მუშკორთა საერთო-საქალაქო ბიუროს რწმუნებული: კუზმინა

— **საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალ. რაიკომის ქალთა განყოფილება** იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 25 ივნისს საღამოს 6 საათზე, **ქალაქის** აღმასკომის დარბაზში შესდგება ქალაქის **რაიონის ქალთა სადელეგატო კრება** ქალთა ორგანიზატორების და დიასახლისების თანადასწრებით.

სავალდებულოა ყველას დასწრება.

ქალთა განყოფილების გამგე: მეზურნოვა

— ორშაბათს, 25 ივნისს, საღამოს 8 საათზე, რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება **პროგრამულ - მეთოდიურ კომისიის კრება.**

დღის წესრიგში დასმულია ამხ. ამხ. მ. ნ. სმირნოვის და ა. ესსენის მოხსენებები.

ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

რ. კ. პ. ამ.-კავ. საოლქო კომიტეტის სააგ.-საპრ. განყოფილება.

— ხუთშაბათს, 27 ივნისს, დილის 10 საათზე, რ. კ. პ. ა. კ. ს. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება **საბჭოთა პარტიულ გამომცემლობათა პრეზიდიუმის ბიუროს სხდომა.**

მოწვეულნი არიან ამხ. ამხ. ბახტაძე, დუმბაძე, მოვშენზონი, შვარცი.

რ. კ. პ. ა. კ. ს. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი დედა ნატალია ღუდუშაურისა და ბიძა ანტონი ბედოევი, აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ კვირას, 22 ივნისს, ტრაღიკულად დაიღუპა მოწაფე

მელიტა გიორგი ღუდუშაურის ასული

გამოსვენება შესდგება ოთხშაბათს 25 ივნისს, მიხეილის სამკურნალოდან ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1—1 1.309

მუშკოოპის სავაჭრო განყოფილება

ნაშუადღევის ორ საათზე ამა 27 ივნისს, თავის მთავარ საწყობში, კირკის ქუჩა № 7 (შესავალი კამოს ქუჩიდან—ყ. დიდი-მთავრის ქუჩა) ნიშნავს

საჯარო ვაჭრობას

იყიდება:

ლილა, ბოჭკები, წებო მშრალი, ღილები (ფოლაქები), ავტომობილის ძველი „პოკრიშკები“, ნალები, თუჯი, შუშები, საკერავი მანქანები, შკაფები და სხვა ბევრი საქონელი.

2—1 ნ. 1.248

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდების ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით

ფ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

126—25—18

ექიმი დ. ნ. მატვეევი-მგალობლიშვილი

ყელის, ყურის, ცხვირის და თვალის ავადმყოფობანი.

ოპერატიული მკურნალობა, პლასტიური აპერაციები.

ავადმყოფთა მიღება საღამოს 5-დან 7 ნახ.-მდე კვირადღის გარდა.

ვერა, მლეთის შესახვევი, № 20.

1164—25—14

ექიმი ვ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულითა და ჭლექით დაავადმყოფებული. სპეც. ციების წამლობა—შეშხაპ. 915 ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1 ს. დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

895—13—12

ქ. თბილისის მე-2 საბინაო სახალხო სასამართლო (კირკის ქუჩა № 20) იწვევს ერთი თვის ვადაში დღიდან ამა განცხადებისა, როგორც მოპასუხეს დარჩო თათოსძე **დოლუაშვილს,**—პასუხის მისაცემად საქმეზედ შესახებ ძიებისა კალისტრატე ესეს ძე **კუკულაძისა**—მასთან ბინის ქირაზე და დაცლაზე.

ზემოხსენებული ვადის განვლის შემდეგ საქმე განხილული იქნება არსებითად.—24 ივნისის 1924 წლ. № 291.

მოსამართლე **ბახტაძე.**

მდივანი **ჭავჭანიძე.**

1—1 1.306

დაიკარგა პასპორტი ხაია ისრაილოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1301

დაიკარგა საბინაო დავთარი, ნოე ადეიშვილის სახელზე ჩერქეზიშვილის ქ. № 122 ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1305

დაიკარგა ყაზანის უნივერსიტეტის მოწმობა და დაქორწინების საბუთი ელისაბედ პავლეს ასული კარაპეტიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1304.

დაიკარგა პირადობის მოწმობა მეტრიკა და ბირჟის წიგნაკი № 1319 კუდაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 № 1.310

დაიკარგა 1919 წ. აღებული მეტრიკული მოწმობა № 1.377 მიხეილ ოქროსცვარიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1311

სტამბა „ზარია ვოსტოკის“. საშა წულუკიძის ქუჩა № 4.